საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 29 იანვარი, 2015 წელი.

№17 (7662)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ვერსიები, ვერსიები...

„თბილისიდან გამოსვლისას დაუკავშირდნენ შემსრულებელს, რომელიც უკვე ადგილზე იყო“ ③

მამუკა არეშიძე:

იური ვაზაგაშვილის სავარაუდო მკვლელმა საქართველო დატოვა

ბესო ალადაშვილი:

მაქვს სამი ვერსია. პირველი, ეს ოპერაცია დაქირავებული შემსრულებლების საშუალებით დაგეგმა და განახორციელა იმ ხალხმა, ვისაც იური ვაზაგაშვილი ებრძოდა, ანუ, ვინც მისი შვილის მკვლელობაში მონაწილეობდა. მეორე, ეს შესაძლებელია ორგანიზებული ყოფილიყო რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ, რომელიც ცდილობს, შეასუსტოს დღევანდელი ხელისუფლება.

რაც შეეხება მესამე ვერსიას: შესაძლებელია, ამის უკან იდგეს ის გარე ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან ორ დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალას შორის შუღლის კიდევ უფრო გაღვივებით.

სამართლიანობის აღდგენის პრეცედენტი – ② „სენტა პეტროლიუმი“ ბაზარზე დაბრუნდა

ემზარ კვიციანი თავისუფალია

ძუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი თავისუფალია.

ადვოკატის განმარტებით, საპროცესო შეთანხმებაზე ინიციატივა თავად პროკურატურისგან მოდიოდა.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ბრალდებულ ყოფილ რწმუნებულს 12-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.

სოლომონ პავლიაშვილი:

რა გავლენას ახდენს ლარის კურსზე „ბენზინის მაფია“ ⑤

ხელისუფლება ინფლაციის დამუხრუჭებას შეუდგა ④

პრობლემები, რომლებსაც „პანორამა თბილისი“ შექმნის ⑦

ალექსანდრ ვერშბოუ:

⑧ ნატოს საწვრთნელი ცენტრი საქართველოში წლის ბოლომდე გაიხსნება

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრს შეხვდა

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე გუშინ პირველმა სატესტო მატარებელმა გაიარა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ **საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურიდან აცნობეს, პროექტის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს.**

მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და ხაზგასმით აღნიშნეს ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის მნიშვნელობა.

სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს დააკავშირებს, ევროპასა და აზიას შორის ეფექტიან და სწრაფ სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებს უზრუნველყოფს. პროექტის დასრულება 2015 წლის ბოლოს იგეგმება.

ბიძინა ივანიშვილი განმარტავს, რატომ დატოვა თანამდებობა

ყოფილი პრემიერი „იმედთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აფასებს და იმაზეც აკეთებს განმარტებას, თუ რატომ დატოვა თანამდებობა.

„მთავრობა და ხელისუფლება მთლიანად საზოგადოების ნაწილია და როდესაც პრემიერობაზე მიკიჟინებდნენ, რომ უნდა დავრჩენილიყავი, ამას ყველაზე მეტად უსუფაშვილი ცდილობდა და მას რამდენჯერმე ავუხსენი. ამ პროცესებში მონაწილეობდნენ მარგველაშვილი და ალასანია. თან ბევრჯერ გამიკეთებია განმარტებები, რომ ეს ზედმეტი ნდობა, რომელიც მე გამაჩნია საზოგადოებაში, ჯობია მთლიანად საზოგადოებას გადავუნაწილო და არა მხოლოდ მის ერთ ნაწილს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

◎ ალიან-ჩალიანი

ირლანდიის პარლამენტმა რატიფიკაცია მოახდინა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნული გადაწყვეტილება პარლამენტის ქვედა პალატამ ხმათა უმრავლესობით მიიღო.

მათივე ინფორმაციით, ამავე სხდომაზე რატიფიცირებულ იქნა ასოციირების შეთანხმებები უკრაინასა და მოლდოვასთან.

ევროკავშირმა საქართველოს 13 მილიონი ევრო გამოუყო

რადიო „თავისუფლების“ ცნობით, აღნიშნული დახმარება საქართველოსთვის განსაზღვრული 46 მილიონი ევროს მაკროსაფინანსო დახმარების პირველი ტრანშის ნაწილია.

„ეს დახმარება 2013 წელს დამტკიცდა. პირველი ტრანში მოიცავს აგრეთვე 10 მილიონ ევროს სესხების სახით, რომელიც ახლო მომავალში გაიცემა. მეორე ტრანში — 23 მილიონი ევრო 2015 წლის შუა პერიოდში გამოიყოფა“, — წერს რადიო „თავისუფლება“.

ეკონომიკისა და ფინანსურ საკითხებში ევროკომისარ პიერ მოსკოვიცის განცხადებით, ევროკავშირი დაპირებებს ასრულებს.

საქართველო ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნად რჩება

Freedom House-ის ორგანიზაცია მსოფლიოში თავისუფლების შესახებ 2015 წლის ანგარიშს — „უარყოფილი დემოკრატია: რკინის მუშტისკენ მიბრუნება“ აქვეყნებს. დოკუმენტში მიმოხილულია 195 ქვეყანა, რომელთაგან 89 (46%) შეფასდა როგორც თავისუფალი, 55 (28%) — ნაწილობრივ თავისუფალი, 51 (26%) — არათავისუფალი. სწორედ 28%-შია საქართველოც, რომელსაც Freedom House ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყანად აფასებს. 7-ქულიან შკალაში, რომლის მიხედვითაც 1 ქულით თავისუფალი მდგომარეობა, ხოლო ქულების მატება თავისუფლების ინდექსის გაუარესებას მიუთითებს, საქართველო 3 ქულით არის შეფასებული. ამასთან, 3 ქულით ფასდება საქართველოში როგორც პოლიტიკური უფლებების, ისე სამოქალაქო თავისუფლების მაჩვენებელი.

ევროპარლამენტის თავმჯდომარე რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესების წინააღმდეგია

ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულცი რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესების წინააღმდეგია. ამის შესახებ შულცმა ავსტრიულ სააგენტო APA-ს განუცხადა. „ამ მომენტისთვის სანქციები საკმაოდ ეფექტურია. ახალი სანქციების შემოღების აუცილებლობა არ არის. მეეჭვება, რომ დამატებითი სანქციებით შესაძლებელია კრიზისის დასრულება“, — განაცხადა მარტინ შულცმა და დასძინა, რომ კონფლიქტის გადასაწყვეტად ევროკავშირმა მოთმინებით უნდა აწარმოოს დიალოგი მინსკის შეთანხმებების შესრულებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ევროკავშირმა რუსეთს უნდა დაანახოს, რომ მშვიდობის მიღწევა მხოლოდ დიალოგის გზით შეიძლება და არა სამხედრო კონფრონტაციით.

პრემიერის შეცვლის მიზეზს ნამდვილად ვერ ხედავენ

საპარლამენტო უმრავლესობა პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის შეცვლასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, იგი ვერ ხედავს ვერანაირ არგუმენტს და მიზეზს, თუ რატომ დგას ეს საკითხი.

გავრცელებული ინფორმაცია ჟურნალისტებთან საუბრისას უარყო საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა ზურაბ ტყემალაძემაც. მისი თქმით, პრემიერის შეცვლასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

„მედიაში ბევრი ინფორმაცია ვრცელდება, რომელიც შემდეგ არ მართლდება. მე რა ინფორმაციაც მაქვს, პრემიერის ცვლილება არ იგეგმება“, — განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

◎ სამართალი ნაყრდეგა?

სამართლიანობის აღდგენის პრეცედენტი

„სენტა პეტროლიუმი“ ბაზარზე დაბრუნდა

— „ჯერჯერობით უფრო მასშტაბურად საბითუმო ბაზარზე ვბრუნდებით. უკვე განვახორციელეთ დიზელის საწვავის იმპორტი. ვგეგმავთ ბენზინის იმპორტსაც. ამავე დროს, ერთი ავტოგასამართი სადგური ბათუმში შევიძინეთ მეორე კი, ქუთაისში იჯარით ავიღეთ. ეს არის პირველი ნაბიჯები საცალო ბაზარზე გასასვლელად. ვგეგმავთ იმ აქტივების დაბრუნებასაც, რომლებიც დავით კეზერაშვილმა მიითვისა და „გალფის“ საკუთრებაშია. ამ საკითხზე პირველი სასამართლო პროცესი 4 თებერვალს არის ჩანიშნული, — აცხადებს კომპანიის დამფუძნებელი ზაალ იაკობიძე.

კომპანია ჯერ კიდევ 1996 წელს დაარსდა და წარმატებით ვითარდებოდა 2011 წლამდე — იმ დრომდე, ვიდრე მისით ნაციონალური მოძრაობა არ დაინტერესდა.

„2010 წლის ბოლოს იყო მათი მხრიდან პირველი მუქარა და მოთხოვნა, რომ ჩვენი ქსელი საკუთრებაში მიეღოთ, — ამბობს კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ზაალ იაკობიძე, - 2011 წელს უკვე კეზერაშვილმა ჩვენი კომპანიის ქონება იძულებით გადაიფორმა და ჩვენმა გასამართმა სადგურებმა „გალფის“ ბრენდით დაიწყეს ოპერირება. ჩვენ იმ პერიოდში 50 ავტოგასამართი სადგური გვქონდა. — 43 ჩვენი საკუთრებაიყო, 7 კი ხანგრძლივვადიანი იჯარით გვქონდა აღებული.

კოპანიის კიდევ ერთი დამფუძნებლის დავით მიმინოშვილის თქმით, მუქარა და შანტაჟი უშუალოდ კომპანიის მფლობელებზე ხორციელდებოდა. კეზერაშვილის მოთხოვნა იყო, რომ „სენტა პეტროლიუმი“ მფლობელობაში მიზერულ თანხად მიეღო. უარის თქმის შემთხვევაში კომპანიის წარმომადგენლებს პატიმრობით ემუქრებოდნენ, ციხიდან კი მათ უკვე უსასყიდლოდ მოუწევდათ ქონების დათმობა. გადაწყვეტილება მიხეილ სააკაშვილთან, ვანო მერაბიშვილთან და ზურაბ ადეიშვილთან იყო შეთანხმებული.

„იძულებითი გადაწყვეტილება მიიღეთ და 60-მილიონიანი კომპანია კეზერაშვილმა 22 მილიონად დაგვათმობინა. ეს თანხმა მას ერთი თვის განმავლობაში უნდა დაეფარა, თუმცა, დაახლოებით, წელიწადნახევარი იხდიდა ისევ „სენტა პეტროლიუმის“ მოგებიდან. წარმატებული კომპანია, რატომ უნდა მიგვეყიდა ვინმესთვის ასეთ ფასად? ამ 22 მილიონიდან დიდი ნაწილი საბანკო კრედიტებს და სხვა ხარჯებს მოხმარდა. ჩვენ მხოლოდ 6 მილიონი დაგვრჩა — თუმცა, „დაგვრჩა“ ხმამაღალი ნათქვამია: მე და ჩემს პარტნიორს ფულის გათეთრებაში დაგვდეს ბრალი და გლდანის ციხეში მოგვათავსეს. 15-წლიანი პატიმრობა გვემუქრებოდა. ციხეში ღამით ჩვენთან პროკურატურის წარმომადგენლები მოვიდნენ და გირაოს სახით 4 მილიონი ლარის გადახდა მოგვთხოვეს, თან უნდა მიგვეცა პირობა, რომ ბიზნესში არასდროს დავბრუნდებოდით“, — დავით მიმინოშვილს დღესაც უჭირს იმ მძიმე დღეების გახსენება.

გირაოს სახით გადახდილ თანხას 2 მილიონ ლარად ახალციხის ერთ-ერთ სოფელში 120 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთის იძულებით შეძენაც მოჰყვა. როგორც ბიზნესმენი ამბობს, კომპანიის წართმევის ასეთი სქემის მსხვერპლი, მათ გარდა, კიდევ ბევრი ბიზნესმენი აღმოჩნდა.

„მთლიანად გაგვძარცვეს, გამოსავალი აღარ არსებობდა. ამ დროს გაიმართა არჩევნები და ის ხელისუფლება, საბედნიეროდ, შეიცვალა, სწორედ მაშინ გაგვიჩნდა იმედი, რომ სამართლიანობის აღდგენას შევძლებდით,“ — ამბობს დავით მიმინოშვილი.

„შევიტანეთ სარჩელი კეზერაშვილის წინააღმდეგ, თუმცა მაშინ მთავარი პროკუროროს მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა გააჩერა და თაროზე შემოდო. ამ ფაქტზე კეზერაშვილისთვის ბრალი არ წაუყენებიათ. პროკურატურაში განხორციელებული ცვილებების შემდეგ დაგვპირდნენ, რომ საქმეს ხელახლა დაუბრუნდებიან. ამის შემდეგ პროკურატურამ ბრალი მოხსნა, გავმართლდით და გირაოც ორ კვირაში დაგვიბრუნდა , ეს იყო პირველი წინგადადგმული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სამართლიანობის აღდგენის მაგალითი“.

რთული პერიოდის მიუხედავად, კომპანია უკვე დაბრუნდა ბაზარზე.

პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა. პრეზენტაციას თბილისის მერი დავით ნარმანია და უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ესწრებოდნენ.

დავით ნარმანიამ „სენტას“ სამართლიანობის აღდგენა მიულოცა და ის წლები გაიხსენა, როცა კომპანიებს წარმატებას არ პატიობდნენ: **„ამ პრეზენტაციაზე კარგად ჩანს, როგორ შეიძლება დიდი შრომის წაყლობით კომპანიამ ნულიდან დაიწოს ყველაფერი და მიაღწიოს წარმატებას. ყველას გვახსოვს ის ავადსახსენებელი წლები, როცა კომპანიებს წარმატებას არ პატიობდნენ, თუ მათიანი და მათი გუნდის წევრი არ იყავი. ყველამ ვიცით, რითი მთავრდებოდა ასეთ შემთხვევაში ყველაფერი და თქვენი კომპანიაც, როგორც ჩანს, ამ მხრივ გამონაკლისი არ აღმოჩნდა. მთავარია, რომ შეძელით, სააშკარაოზე გამოგეტანათ ეს ყველაფერი და, მიუხედავად მძიმე პერიოდისა, სამართლიანობა აღდგა. ყოველთვის მიგულეთ თქვენ გვერდით.“**

შეიძლება ითქვას, რომ „სენტა“ ნულიდან იწყებს. თანაც კომპანია ბაზარზე სასიამოვნო სიახლით შემოდის.

„ჩვენი მიზანია ის, რომ საქართველოს მოქალაქეთა მიერ საწვავში გადახდილი თითოეული თეთრი იყოს ადეკვატური მიღებული ხარისხისა და საერთაშორისო ფასისა,“ — ამბობენ დამფუძნებლები. მათივე ინფორმაციით, ნავთობის საერთაშორისო ფასიდან გამომდინარე, „სენტა პერტროლიუმის“ ავტოგასამართ სადგურებზე, სხვა ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურთან, მაგალითად „გალფთან“ შედარებით, ბენზინის 10-15 თეთრით, ხოლო დიზელის საწვავის შეძენა 20 თეთრით უფრო იაფად იქნება შესაძლებელი.

ნიკა ასლანიძე

„თბილისიდან გამოსვლისას დაუკავშირდნენ შემსრულებელს, რომელიც უკვე ადგილზე იყო“

უშიშროების **გადამდგარი პოლკოვნიკი ბესო ალადაშვილი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეში მთავარი რგოლი არის შემსრულებელი. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებლის დაკავება არ მოხდა ცხელ კვალზე, მაშინ ალბათობა იმისა, რომ ეს საქმე გაიხსნას, ძალიან მცირეა. მნიშვნელოვანია, დადგინდეს, როგორ და რა გზით უთვალთვალებდნენ იური ვაზაგაშვილს.**

რა მიზანს ემსახურებოდა ვაზაგაშვილის სასაფლაოზე აფეთქება და სავარაუდოდ, როდის მოხდა ხელყუმბარის დამონტაჟება? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge ბესო ალადაშვილს ესაუბრა.

— იური ვაზაგაშვილის აფეთქების ფაქტს იურისტები ტერორისტული აქტის კვალიფიკაციას აძლევენ, თუმცა, ამის მიუხედავად, მუხლი არ გადაკვალიფიცირებულა. ის, რაც მოხდა ყარაფალის სასაფლაოზე ახლოს არის ტერორისტულ აქტთან?

— ექსპერტიზის შედეგები საბოლოოდ არაა დაზუსტებული. თუ ეს იყო მხოლოდ ნაღმი ან ხელყუმბარა, რომელიც მხოლოდ ფიზიკური ძალის ზემოქმედების შედეგად ამოქმედდა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ თუ ეს იყო დისტანციურად მართვადი ნაღმი, მაშინ სულ სხვა საკითხია. პირველ შემთხვევაში, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა, მეორე შემთხვევაში კი, თუ ის დისტანციური მართვისა იყო, სამიზნე იქნებოდა მხოლოდ ის პიროვნება, ვიზეც იყო გათვლილი.

— დამოუკიდებელი ექსპეტრების განცხადებით, ჯერჯერობით, დისტანციური მართვის კვალი არ არის აღმოჩენილი.

— ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ მთავარი ის არის, რომ მივიღეთ სამწუხარო შედეგი. ეს შედეგი კი ორი მონაწილის მიერ დადგა. ამ პროცესს ჰყავდა ორი მონაწილე, ეს არის შემკვეთი და შემსრულებელი. ვერ გავიზიარებ იმ ოპტიმიზმს, რაც არის საზოგადოებაში საქმის მალე გამოძიების შესახებ. როდესაც ამ სახის კრიმინალი ხდება, როგორც წესი, შემსრულებელი ან მაშინვე ტოვებს ქვეყანას, ან ხდება მისი ლიკვიდაცია. დაკვეთაზე გასვლა შესაძლებელია მხოლოდ შემსრულებლის დაკავებით. ამ საქმეში მთავარი რგოლი არის შემსრულებელი. როგორც წესი, თუ შემსრულებელი ცხელ კვალზე არ დააკავეს, მაშინ ამ საქმის გახსნის ალბათობა ძალიან მცირეა.

რაც შეეხება შემსრულებელს, რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ჩემი აზრით, არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ეს სოფელი არის თუ არა ოკუპირებულ ტერიტორიასთან ახლოს. აქ მთავარია, დადგინდება, იმ ტერიტორიაზე და პერიმეტრზე ვინ გადაადგილდებოდა. ბუნებრივია, აქ გამოყენებული იქნებოდა სატრანსპორტო საშუალება. ყველა შემთხვევაში, შესაძლებელია, მოწმეთა ფართო დაკითხვით ამის დადგენა. მაგრამ ვიმეორებ, რომ ალბათ, შემსრულებლის კვალის მიგნება გაჭირდება.

— როგორც გაირკვა, ადგილზე დარჩა ფეხის ნაკვალევი, რასაც ძაღლები მიჰყვნენ, ეს არაა საკმარისი იმისათვის, რომ კვალზე გასვლა მოხდეს?

— ეს კვალი დაიკარგა, ანუ პიროვნება ჩაჯდა ავტომობილში და გაემგზავრა. სად გაემგზავრა, ამის დადგენა მხოლოდ ფეხის კვალით ვერ მოხდება. ამ საქმის სასწრაფო გამოძიებასთან დაკავშირებით ცრუ მოლოდინები არ უნდა არსებობდეს საზოგადოებაში. გამოძიების მხრიდან უნდა ითქვას, რა სახის სიძნელეებია გამოძიების პროცესში. ყველზე საინტერესო ამ საქმეში, ბუნებრივია, არის შემკვეთი და აქ მხოლოდ ვერსიების დონეზე შეიძლება გავჩერდეთ. შემკვეთს ვერასდროს ვერ დავადებთ ხელს, თუ ვერ აღმოვაჩინეთ შემსრულებელი.

— რამდენიმე ვერსია დასახელდა, ერთერთი ვერსიით ეს უკავშირდებოდა იურის შვილის საქმის გამოძიებას, მეორე ვერსია, და როგორც ჩანს, აქცენტი ამაზე კეთდება, ეს არის ქვეყნის შიგნით დესტაბილიზაციის მოწყობის მცდელობა, გაკეთდა მინიშნება რუსულ კვალზე და სპეცსამსახურებზე. როგორც მოხდა ამ ხელყუმბარის დამონტაჟება და შემდეგ უკვე მისი აფეთქება, სპეცსამსახურების ხელწერა იკითხება?

— არ გამოვრიცხავ, რომ აქ იყვნენ შემსრულებლები. შეკვეთილ მკვლელობას რაც შეეხება, სამწუხაროდ, ჩვენთან და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებში საკმაოდ იოლია ისეთი ხალხის პოვნა, რომლებსაც აქვთ ამის საკმაო გამოცდილება. რაც შეეხება შემსრულებლის პროფესიონალიზმს, პირველი — მინიმუმ მას უნდა ჰქონოდა ამგვარი სასიკვდილო ხაფანგის გამოცდილება. წარმოიდგინეთ აქ რამხელა ფსონი იყო დადებული — მცირედითაც კი არასწორი აფეთქება შეიწირავდა თვითონ შემსრულებელს. ბევრი აფეთქებულა მაშინ, როდესაც დანაღმვას ცდილობდა. ამიტომ, შემსრულებელს უნდა ჰქონოდა გამოცდილება.

მეორე — ბუნებრივია, ბატონ იურიზე მიდიოდა გარე მეთვალყურეობა, ანუ თვალთვალი. ისმინებოდა მისი ტელეფონი ანუ მოქმედებდა სულ მცირე, ნკაციანი ჯგუფი, რათა მაქსიმალურად გაეთვალათ ყველაფერი. აქ კიდევ ერთ რამეს უნდა გავუსვათ ხაზი: აფეთქება შვილის საფლავზე. აქ მისტიკა არაა, ჩემი აზრით, კვალის მიმართვა უნდოდათ სხვა მხრივ. თუ მიაქცევთ ყურადღებას, პირველივე ვერსია, რაც გაჩნდა პრესაში, ეს იყო თვითმკვლელობა. ეს არის სწორედ საინტერესო, ვინ მიაწოდა პრესას ეს ინფორმაცია?

— ალბათ, გამოძიება უნდა დაინტერესდეს, რომელმა მედია-საშუალებამ გაავრცელა და ვინ იყო ამ ინფორმაციის პირველი წყარო...

— რა თქმა უნდა, ამ ტრაგედიიდან რამდენიმე წამში თითქმის ყველა მედიასაშუალება ამ ვერსიაზე მიუთითებდა. ეს ვერსია საოცრად ჰგავდა იმ ვერსიას, რაც ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას გარდაცავალებიდან 2 საათში გავრცელდა. ჩემი აზრით, საფლავზე ამის გაკეთება იმის მინიშნება იყო, რომ იური ვაზაგაშვილმა, თითქოს, ვერ გაუძლო და ამიტომ თავი აიფეთქა.

რაც შეეხება ვერსიას — მე მაქვს სამი ვერსია. პირველი, ეს ოპერაცია დაქირავებული შემსრულებლების საშუალებით დაგეგმა და განახორციელა იმ ხალხმა, ვისაც იური ვაზაგაშვილი ებრძოდა, ანუ ვინც მისი შვილის მკვლელობაში მონაწილეობდა. მეორე, ეს შესაძლებელია ორგანიზებული ყოფილიყო რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ, რომელიც ცდილობს, შეასუსტოს დღევანდელი ხელისუფლება.

— ნაციონალური მოძრაობა გყავთ მხედველობაში?

— ეს არის ვერსია. ნაციონალებს აქვთ ამის რესურსი, ჰყავთ ხალხი და აქვთ ფინანსები. სხვათაშორის, მოსმენებსაც ახორციელებენ და თვალთვალის თავისი სპეცსამსახურებიც ჰყავთ. რაც შეეხება მესამე ვერსიას: შესაძლებელია, ამის უკან იდგეს ის გარე ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან ორ დაპირისპირებულ პოლიტიკური ძალას შორის შუღლის კიდევ უფრო გაღვივებით. ყველა ვხვდებით, რომ ეს არის სპეცსამსახურების ხელწერა.

— რაც შეეხება დანაშაულის იარაღს. გამოყენებულია ქარხნული წარმოების საბრძოლო მასალა, ეს არაა ადვილად ხელმისაწვდომი და, რაც მთავარია, ის არ იყიდება. შეიარაღება, რომელიც არ იყიდება, რა ჯგუფის ხელში შეიძლება იყოს, გარდა სპეცსამსახურებისა?

— გამოძიების ამ მიმართულებით წასვლა უპერსპექტივოა და გეტყვით რატომც. თუ გადავხედავთ შსს-ს ანონსებს, ხშირია ხოლმე (განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან) იარაღისა და საბრძოლო მასალების მასობრივი ჩაბარება. ანუ, ხალხს ეს ხელყუმბარები, ნაღმები, საბრძოლო მასალები შემორჩენილი აქვს იმ კონფლიქტებიდან, ზოგს რუსეთის ბაზებიდან. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გაქრა მძიმე შეიარაღება. ეს ასაფეთქებელი საშუალება არაა ისეთი იშვიათი და დეფიციტი, რომ ის არ იყოს ხელმისაწვდომი რომელიმე დაჯგუფებისთვის, ვისაც გარკვეული კრიმინალური თუ ტერორისტული აზრები აქვს.

თუ მოხერხდება, აქ უნდა დადგინდეს: გარდა ამფეთქებლისა, როგორ და რა გზით უთვალთვალებდნენ ამ ადამიანს. ამ ხაზით უფრო შესაძლებელია რაიმე ხელჩასაჭიდის პოვნა. აფეთქება მოხდა, ბუნებრივია, იქ თითის ანაბეჭდები არ იქნება. როგორც გითხარით, შემსრულებელი სულ მინიმუმ, საქართველოდან არის წასული, თუ ლიკვიდირებული არაა. დარჩენილია ის მომენტი, თუ ვინ ახორციელებდა თვალთვალს და მოსმენას, ეს იქნებოდა ერთი ჯგუფი, მაგრამ სხვადასხვა პიროვნებები.

— რამდენად შეძლებს პროკურატურა, დაადგინოს, ვინ იყო შემსრულებელი. პირველადი შეფასებით, მკვლელობა პროფესიულ დონეზეა ჩადენილი. ფეხის კვალისა და ხელყუმბარის გარდა საქმეში სხვა მტკიცებულება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, არაა და მხოლოდ თვალთვალის და მოსმენების დეტალი მიიყვანს გამოძიებას შემსრულებლამდე?

— ურთულესი საქმეა, რადგან რეალური მტკიცებულება არაა. ის ფეხსაცმელიც განადგურებული იქნება, ხელყუმბარა ვერ მიგვიყვანს შემსრულებლამდე. როგორც გითხრით, აქ უფრო მნიშვნელოვანი იქნება ბატონი იურის გადაადგილების შესწავლა, რათა დადგინდეს გარეთვალთვის მოქმედება.

— მაგრამ საინტერესოა, დამკვეთს საიდან შეიძლებოდა ჰქონოდა ინფორმაცია, რომ ობიექტი დანიშნულების ადგილზე მივიდოდა მარტო? როგორც ითქვა, მეუღლესთან ერთად გადიოდა საფლავზე. მეტიც, ითქვა, რომ წინა დღეს იყო საფლავზე ასული, იმ ღამეს მისი დის მეუღლე იყო ასული საფლავზე, რომელმაც შეცვალა ყვავილები...

— როგორც ითქვა წინა დღეს მეუღლესთან ერთად იყო პანაშვიდზე და გავიდნენ საფლავზე. ეს უკვე ცნობილი იყო და აუცილებლად, სოფლიდან იქნებოდა ინფორმაციის წყარო, შესაბამისად, უკვე მის გადაადგილებას დააკვირდებოდნენ. მისი თბილისიდან გამოსვლის დროს უკვე იცოდნენ დეტალები. როგორც ჩანს, მისი თბილისიდან გამოსვლის დროს მოხდა დაკავშირება შემსრულებელთან, რომელიც უკვე ადგილზე იყო. როდესაც გაირკვა, რომ მარტო გავიდა, მაშინ მოახდინა შემსრულებელმა ასაფეთქებელი ხელყუმბარის დამონტაჟება. ამიტომ არის მნიშვნელოვანი გარეთვალთვალის შესწავლა.

თამთა ქარჩავა

◎ კაკალ გულში

წარცილოვანი თქვენები

● ჩვენ არ ვართ მელიები და არც ემზარ კვიციანი არ არის ბარტყი, რომელიც გადმოგვიგდეს. ჩვენ სამართლიანობის აღდგენას ვითხოვთ! ძალიან კარგია, რომ ემზარ კვიციანს უშვებენ, მაგრამ უშვებენ საპროცესო შეთანხმებით. ე.ი. საქმე არ დახურულა და სრული გამამართლებელი განაჩენი არ დამდგარა!

დარჩენილია კიდევ 184 პოლიტპატიმრის და 22 პოლიტდევნილის საქმე, 2200 საქმე ქონების დაბრუნებაზე.

ასე რომ, მაპატით, ჩემო მეგობრებო, მაგრამ პირდაპირ ვთქვათ, რომ თუ არა იური ვაზაგაშვილის საშინელი მკვლელობა, ყველაფერი ისევ სტაგნაციის მდგომარეობაში იქნებოდა. რა ვქნათ, დაველოდოთ სხვა მკვლელობებს?

● პროკურატურავ დროზე გაინძერი. ვინ იცის, რამდენი ელოდება, რომ დაიძახოს, მე დღეს ირაკლი ფირცხალავა ვარო!

ნუ ალოდინებ ამ ხალხს!

● რად არის ასე, დედაბუნებავ, რად ხდება ასე, დედასამშობლოვ, ასეთი რა დაგემართა დედაპარლამენტო, რომ შენი აღარც ერთი წევრის ნდობა აღარ მაქვს და მაგათი დანახვა და გაგონება აღარ მინდა?!

(დედამინისტრთა კაბინეტს, დედაპარტიებს და დედაარასამთავრობო ორგანიზაციებსაც ეკუთვნით დიდწილად)

● დღეს ზურა ჯაფარიძე ეკა ყუშიტაშვილია, მაგრამ ანი მიროტაძე ვინაა და რა უნდა, ვერაფრით გავიგე...

● ისე, ირაკლი ფირცხალავას დანახვაზე, ვამეტ ვახვარი გამახსენდა... აი, ისა რა, „ს ბანწიკამი ი ბეზ ბანტოვ“...

● აი იმ ხალხზე ვგიჟდები ისე მიყვარს, „ოცნების“ დაცინვა ქკუის დარიგებაში რო ათენ-აღამებენ და 2012 წლის ოქტომბრამდე ზოგს „თოვლის ფანტელი“ ერქვა, ზოგს “მეორადი ტანსაცმელი იაფად“. თავზე რო გვემხობოდა ქვეყანა, რაღაც ფისოობებს რო დებდნენ კედელზე — „აუუ აპოლიტიკური ვარ მე“ იმიჯით. ამაიდგით ხმა?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

იური ვაზაგაშვილის სავარაუდო მკვლელმა საქართველო დატოვა

როგორც მამუკა არეშიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მას აქვს ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი საქართველოდან თურქეთში გადავიდა. მისივე თქმით, სავარაუდო მკვლელის შესახებ დეტალებს ფლობს, თუმცა ამ დეტალებზე ის ამ დროისთვის ვერ ისაუბრებს.

„მაქვს ინფორმაცია, რომ სავარაუდო მკვლელმა საქართველო დატოვა. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ის თურქეთში გადავიდა. შემსრულებლიდან დამკვეთზე გასვლა ადვილია. ამ საქმის გახსნა სწორედ დამკვეთების აქტიურობითა და კვალის დარჩენით მოხდება. მათ უკვე დატოვეს რამდენიმე კვალი“, — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

მისივე თქმით, ამ საქმეში იკვეთება ძალოვანების მონაწილეობა.

ინტერპრესი

შეჩერდება თუ არა გაუფასურების პროცესი?

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ეროვნული ვალუტის გაუფასურების ეს უკვე მეორე ტალღაა. პირველად ლარმა დოლართან მიმართებაში ვარდნა გასული წლის ნოემბერში დაიწყო...

რომან გოცირიძე, ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარე:

— ლარმა გაუფასურების ახალი ეტაპი დაიწყო. მთავრობა ამის ერთ-ერთ მიზეზად უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემცირებას ასახელებს. რამდენად საკმარისია თქვენთვის მთავრობის ეს არგუმენტი და თქვენ რა მიზეზებს ხედავთ, რაც ლარის გაუფასურებას აძლევს ბიძგს?

— ლარის ზედიზედ, ერთსა და იმავე პერიოდში ორი წლის განმავლობაში ორჯერ გაუფასურების მიზეზი არის ცვლილებები ეკონომიკურ პოლიტიკაში. მოხდა საბაზროდ ორიენტირებული ეკონომიკის ტრანსფორმაცია სოციალურად ორიენტირებულში. ლამაზად ჟღერს, მაგრამ, როგორც წესი, საბოლოო შედეგები მახინჯი გამოდის. ამისი კონცენტრირებული გამოხატულებაა ბიუჯეტი. იგი უკვე აბსოლუტურად სხვა სახისაა. სხვადასხვა ე.წ. წამახალისებელი ხარჯები: სუბსიდიები, ბიზნესპროგრამები, ხვნა-თესვის დაფინანსება, მოსავლის დაზღვევაც კი. მეორეს მხრივ, ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევა, უფასო წიგნები, სოციალური შემწეობების მიმღებთა წრის გაფართოება, საყოველთაო ვაუჩერები (მაგ. ელექტროენერგიის), განურჩევლად მდიდრისა და ღარიბისა. ასევე სახელმწიფო აპარატის მუდმივი ზრდა, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე ცენტრალურ სამთავრობო დაწესებულებებში, უამრავი მარეგულირებელი ნორმის აღდგენა. აგერ, კიდევ ერთი უაზრო კანონის მიღებას აპირებენ — უცხოელი სპეციალისტები არ შემოვუშვათ, თუ ამ საქმის გაკეთებას ქართველი შეძლებსო. ესეც ლამაზად ჟღერს. არა და, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობისას „სვარშიკები“ ვერ მოიძებნა ადგილზე. მერე ვიღაცამ ნებართვები უნდა აძლიოს, ვიღაცამ უნდა ამტკიცოს, რომ ამის შემსრულებლები გვყავს თუ არა გვყავს ადგილზე და ასე შემდეგ. ცალ-ცალკე ეს ყველაფერი კარგია მოსასმენად და ენა არ მოგიბრუნდება, რომელიმეზე უარი თქვა. რაც ამერიკამ ვერ შეძლო ორასი წლის განმავლობაში ჯანდაცვის სფეროში, ჩვენ მოვასწარით ორ წელიწადში ნასესხები ფულით და არა მარტო ამით. ის ფული, რაც ადამიანებმა და კერძო ფირმებმა დაკარგეს ლარის გაუფასურებით და ფასების ზრდით, ეს არის საზღაური იმ სიკეთისა, რასაც ბიუჯეტი გვპირდება. რასაც მთავრობა გვაძლეს ერთი ხელით, გვართმევს მეორეთი. როგორც წესი, პირველ რიგში და ყველაზე მეტს ართმევს დაბალშემოსავლიან ფენას — ინფლაციით. ანუ იმას, ვისზე ზრუნვითაც ნაკარნახევია ბევრი სოციალური პროექტი.

„რასაც მთავრობა გვაძლევს ერთი ხელით, გვართმევს მეორეთი“

ასეთმა პოლიტიკამ რა უყო მაგალითად, საბერძნეთს და კვიპროსს, დავინახეთ ამ რამდენიმე წლის წინათ. რიგში ესპანეთი და პორტუგალიაა. და სად? ევროკავშირში, სადაც უზარმაზარი ფინანსური მხარდაჭერა აქვთ მსგავს ვითარებაში ჩავარდნილებს. 50 მილიარდზე მეტი მისცეს საბერძნეთს სხვადასხვა წყაროებიდან და დღეს ისევ აქტუალურია მისი ევროზონიდან გაძევების საკითხი. როცა ბიუჯეტს ვახსენებთ, ეს უკვე პორტრეტია, რომელიც დორიან გრეის სურათივით განიცდის ტრანსფორმაციას. მეორეს მხრივ, 2013 და 2014 წლებში სწორედ ბიუჯეტის არათანაბარზომიერმა შესრულებამ განაპირობა ლარის ვარდნა, დეკემბრის ბოლო დღეებში თითქმის ნახევარი მილიარდი ლარის გაშვებამ მიმოქცევაში. ამან მისცა ბიძგი, შემდეგ კი ცოტა აჟიოტაჟიც დაემატა, ცოტაც იგივე, ასე სათუთად მოსახსენიებელი საგარეოც და მივიღეთ დევალვაციის მეორე ტალღა.

უკვე გაიწოვა ეს ფული სავალუტო ბაზარმა. კვლავ დაუბრუნდა ფულის მასა ნორმას. წესით, დღეს-ხვალ უნდა გაჩერდეს შემდგომი გაუფასურების პროცესი და მერე უნდა ველოდოთ შემდგომ „გარღვევას“ თუ „გაცივებას“. ისევ უნდა ველოდოთ, როგორ მოხდება ბიუჯეტის შესრულება და აღმოიფხვრება თუ არა ვალუტის შემოდინებაში ახლადგაჩენილი უარყოფითი ფაქტორები: ექსპორტის კლება, ტურიზმიდან შემოსავლების კლება, სარკინიგზო და სხვა სახის გადაზიდვებში კლება, ინვესტიციებში კლება, ტრანსფერტებში კლება, უცხოეთში ფულის გადინების მატება და ასე შემდეგ. რაც შეეხება სწრაფი ფულადი გზავნილების მეშვეობით გადმორიცხვებს, ესეც მოქმედებს ლარის კურსზე, მაგრამ გაზვიადებულია, რადგან ეს პრობლემა მხოლოდ ბოლო სამი თვეა, გაჩნდა.

თუ გავიხსენებთ 2008 წლის აგვისტოს ომის წინა და შემდგომ პერიოდს, დავინახავთ, რომ ფულადი გადმორიცხვები რუსეთიდან მაშინ 10 პროცენტით შემცირდა. ამას მსოფლიო საფინანსო კრიზისის ფაქტორიც განაპირობებდა. ალბათ, წელსაც დაახლოებით ამ ფარგლებში, ან შეიძლება უფრო მეტითაც (15 პროცენტით) იკლოს, 100 მილიონი დოლარის ფარგლებში. თუ რამდენ ხანს გაგრძელდება რუსეთში კრიზისი, ამის პროგნოზირება ძნელია. სულ მცირე ორი წელი რომ ვარდნა იქნება, ამას ყველა საერთაშორისო საფინანსო და სარეიტინგო ორგანიზაციები პროგნოზირებენ. რუსეთში მდგომარეობა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე, მათ შორის უკრაინაში რუსეთის აგრესიის შეწყვეტაზე და სანქციების შერბილებაზე, ისევე როგორც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის სიდიდეზე.

მაგრამ, როცა უარყოფითი საგარეო ფაქტორი მოჰყავთ თავის გამართლების მიზნით, რატომ დადებითზე არაფერს ამბობენ? ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და სავაჭრო ბალანსზე დადებითი ზემოქმედების მომხდენი იქნება ნავთობზე მსოფლიო ბაზარზე ფასების კლება. იგი ქვეყნიდან უცხოური ვალუტის ნაკლებ გადინებასაც შეუწყობს ხელს. ეკონომია ორჯერ გადაფარავს გადმორიცხვებით მიღებულ დანაკლისს. მთავარია, სხვა ფაქტორები, ტრადიციულად ჩვენი დადებითი „კოზირები“ ამოქმედდეს. ეს კი ვერ მოხდება, თუ ისევ რაღაც „წახალისების“ თეორიით ვიმოქმედეთ. აგერ, ექსპორტის წახალისების სამსახური უნდა შევქმნათო. ისევ ახალი შტატები, მანქანები და ასე შემდეგ. წახალისება კი არა, ხელის არშეშლაა საჭირო. ასეულობით მილიონობით ლარით წავახალისეთ სოფლის მეურნეობა რუსეთის ბაზრისთვის. იქ ისედაც უნდა მოგვეკიდებინა ფეხი ყოველგვარი სუბსიდირების გარეშე. თუ წახალისებაა, ეს სექტორალური უნდა იყოს, ახალი ბაზრებისკენ (ევროპა, ჩინეთი, ინდოეთი, ამერიკა).

— მთავრობა რამდენად უნარიანი ან უუნაროა ამ პროცესში და რეალურად რა ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ შეაჩეროს ან თუნდაც შეამციროს ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესი?

— არის ფუნდამენტური მიზეზები, რომლის გადაჭრა მთავრობას გაუჭირდება, რადგან მისი „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ — ნეპი (NEP) არის სირთულეების მუდმივი გენერატორი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შეუძლიათ, ვითარების დასტაბილურება ფულის მასის კონტროლის გზით. მაგრამ სანამდე? მოხდება ეკონომიკის ე.წ. დემონეტიზაცია. რა ვუყოთ იმას, რომ ვალუტის დეფიციტი გაჩნდა? როგორ უნდა დავარწმუნოთ ინვესტორი, რომ ფულის აქ დაბანდება ჯობია, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში? რითი ვართ სხვებზე მიმზიდველები? ესაა მთავარი პრობლემა. დაკარგა საქართველომ მიმზიდველობა. ფორმაში უნდა მოვიდეს!

— როგორია თქვენი პროგნოზი ეროვნულ ვალუტასთან დაკავშირებით და რა პროცესებს ექნება გავლენა ლარი-დოლარის გაცვლით კურსზე?

— უახლოეს პერიოდში გაჩერდება ვარდნა. შემდეგ გამოჩნდება ტენდენციები. ზაფხული წესით უკეთესი უნდა იყოს. მერე ისევ მოვა დეკემბერი და ბიუჯეტის რიცხვები გვაჩვენებენ ოპტიმიზმის საფუძველი უნდა გვქონდეს თუ პესიმიზმის.

ესაუბრა
ემა ტუხიაშვილი

ხელისუფლება ინფლაციის დამუხრუჭებას შეუდგა

ლარის კურსის ძალიან სახიფათო ნიშნულთან ყოფნამ, როგორც იქნა, ქვეყნის ეკონომიკური ბლოკის პირველი პირები გამოაღვიძა. მრავალდღიანი დუმილის შემდეგ ერთბაშად ყველამ მოისურვა საკუთარი აზრის გადმოფრქვევა და პროგნოზის გაკეთება, რომელიც დეკემბრის პროგნოზივით ომახიანი არ არის.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის დავით ონოფრიშვილის განცხადებით, ლარის კურსი ქვეყნის ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას ასახავს.

„ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ის ფუნქცია, რაც ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის მიმართულებით მას აქვს, უნდა განახორციელოს იმ შემთხვევაში, როდესაც ინფლაციური წნეხია. შეიძლება სხვა ტიპის ინსტრუმენტების გამოყენება, რაზეც მან ისაუბრა. შეიძლება გამოყენებული იყოს საპროცენტო განაკვეთის ზრდა ან შემცირება, მაგრამ რამდენად აუცილებელია ეს?

კურსი შეიძლება „დაიჭირო“, მაგრამ ეკონომიკური ზრდა შეიძლება შემცირდეს, რაც შემდგომში შემოსავლების შემცირებას გამოიწვევს და მივიღებთ იმას, რაც 2013 წელს იყო. ამიტომ სიტუაცია მარტივი არ არის. კურსი განსაზღვრავს ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას. თუ ლარი არის დოლართან მიმართებაში 1:2-თან და ასე გაუფასურდა, ეს იმიტომ, რომ პრობლემები არის ეკონომიკაში.

პრობლემების ნაწილი გამოწვეულია გარე ფაქტორების გავლენით, რადგანაც რეგიონში ყველგან გაუფასურდა, მაგრამ არის შიდა პრობლემებიც. პირველ რიგში, დეფიციტი, რომელიც სავაჭრო ბალანსის დროს გაჩნდა და რომელიც სხვა სახსრებით უნდა დაიფაროს.

მთავრობას გარკვეულწილად ზეგავლენის საშუალება აქვს - ეს არის ინვესტიციების მოზიდვა. ამიტომ, ჩვენ დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ თუ ინვესტიციები გაიზრდება ქვეყანაში, გარემო კიდევ უფრო გაუმჯობესდება, ამ შემთხვევაში კურსიც ბევრად სტაბილური იქნება, ინფლაციაც პრობლემა აღარ იქნება და ეკონომიკურ ზრდასაც მივიღებთ“, — განაცხადა ონოფრიშვილმა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის აზრით, ლარის გაცვლითი კურსი იმ პროცესს ასახავს, რომელიც ამჟამად ქვეყნის ეკონომიკაშია. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ქადაგიძემ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებთან გამართული დახურული შეხვედრის დასრულების შემდეგ ხაზი გაუსვა, რომ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი გამოწვევებია, რაც განსაკუთრებით მეოთხე კვარტლის მაჩვენებლებში აისახა და ასახვა ჰპოვა ლარზეც.

მისივე თქმით, თუკი ადგილი ექნება ინფლაციას, ასეთ შემთხვევაში ეროვნული ბანკი ადეკვატურ ზომას მიიღებს და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო მექანიზმს გამოიყენებს.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა, ფასების სტაბილურობა, ანუ ის, რომ ლარის გაცვლითმა კურსმა ფასების ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოახდინოს. იმის მიუხედავად, რომ ინფლაციური მოლოდინი გაზრდილია, დღევანდელი მდგომარეობით, ფასების საერთო დონის მატებას ადგილი არ აქვს“, — განაცხადა ქადაგიძემ.

რაც შეეხება ლარის გამყარების პერსპექტივას, სებ-ის პრეზიდენტს კონკრეტული პასუხი არა აქვს. მისი აზრით, თუ ჩვენი ეკონომიკური ზრდა, სავაჭრო პარტნიორების ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე მეტი იქნება, ლარს გამყარების ტენდენცია მაშინ ექნება.

„რეალურად, საშუალოვადიან პერიოდში, თუკი ჩვენ ეკონომიური ზრდა გვექნება, ლარის გამყარების პროცესი დაიწყება. ეს საშუალო პერიოდში ხდება, ხოლო სხვა შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მცურავი გაცვლითი კურსის პოლიტიკის პირობებში, კურსი რეაგირებს და არის პროცესების ადეკვატური“, — დასძინა ბანკის პრეზიდენტმა.

ქადაგიძესა და ონოფრიშვილზე მეტი ოპტიმიზმი შემორჩათ მინისტრებს. კვირიკაშვილი და ხადური უფრო მხნედ უყურებენ მოვლენებს და მათი პროგნოზიც შედარებით დამაიმედებელია.

„ლარის კურსი სტაბილიზაციისკენ მიდის. მთავრობას კომპლექსური გეგმა აქვს, თუ როგორ წავახალისოთ მომავალში ექსპორტი, ტურიზმი, ასევე უცხოური ინვესტიციების მიმართულებითაც მნიშვნელოვანი და აქტიური ნაბიჯების გადადგმას ვგეგმავთ. ვფიქრობთ, ეს ყველაფერი კომპლექსურად კარგ შედეგს გამოიღებს“, — განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

„ყველა ვხედავთ, რომ დოლარი გამყარდა მსოფლიოს ყველა ვალუტის მიმართ. თქვენ იცით, რომ ისტორიულ მინიმუმზეა დასული ევროს გაცვლითი კურსი. რაც შეეხება ლარს, ის გამყარებულია მსოფლიოს ძალიან ბევრი ვალუტის, მათ შორის, ევროს, ბრიტანული სტერლინგის და სხვათა მიმართ. კიდევ ერთხელ მინდა, ვთქვა, რომ ჩვენ და ეროვნული ბანკი ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ, ვმუშაობთ. ეკონომიკური გუნდი იღვწის იმისათვის, რათა ეს რყევა დასრულდეს და ლარი დასტაბილურდეს“, —აცხადებს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური.

ბექა დანელია

◎ განსჯა

რა გავლენას ახდენს ლარის კურსზე „ბენზინის მაფია“

ეს ინფლაცია კი არა, დევალვაციაა. ინფლაცია მაშინ იქნება, როცა სამომხმარებლო კალათის ინდექსი გაიზრდება, — ასე ეხმაურება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკის ექსპერტი, „თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი სოლომონ პავლიაშვილი ეროვნული ვალუტის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს. ამასთან, პავლიაშვილი ამბობს, რომ 2014 წლის დეკემბერში, ინფლაციამ 0,7 პროცენტი შეადგინა, რაც ძალიან დაბალია. ახლა მთავარია, დევალვაცია ინფლაციაში არ გადაიზარდოს, —აცხადებს **სოლომონ პავლიაშვილი**.

— ბატონო სოლომონ, ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ლარი, მაქსიმუმ, 1,93 ნიშნულს არ ასცდებოდა, მაგრამ ეროვნულმა ვალუტამ ფსიქოლოგიური ზღვარი გადალახა...

— ამ სიტუაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისუფლების პოზიციაა — უნდა განმარტოს, თუ რა ღონისძიების გატარებას აპირებს, რომ ლარის დევალვაცია ინფლაციაში არ გადაიზარდოს და ქვეყანაში ინფლაციური მოლოდინი არ გაჩნდეს. მოსახლეობაში პანიკას სწორედ ეს მოლოდინი იწვევს. ამიტომ, ხელისუფლება ამ საკითხზე ძალიან მტკიცე და შეუვალი უნდა იყოს. როგორც ჩემთვის ცნობილია, მთავრობის ინიციატივით, თებერვლიდან ექსპორტის წახალისების სპეციალური პროგრამა ამუშავდება. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იმ რეგულაციებმა, რომლებიც მიგრაციასთან დაკავშირებით არსებობს, ხელი ტურიზმის განვითარებას არ შეუშალოს და, შესაბამისად, ქვეყანაში ფულის შემოსვლა არ შეფერხდეს. ყველაფერ ამის ფონზე კი, უმნიშვნელოა, თუ რა პოლიტიკას გაატარებს ეროვნული ბანკი.

ისე, იმის თქმა, რომ ეროვნულ ბანკს სწორი პოზიცია უკავია, სწორი არაა.

— რატომ?

— 2013-2014 წლებში, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონებზე 775 მილიონი დოლარი შეისყიდა, 520 მილიონი კი გაყიდა, ანუ ბაზიდან, დაახლოებით, 260 მილიონი დოლარი ამოიღო, რამაც რეზერვები კი შეავსო, მაგრამ ხელი ლარის დევალვაციას შეუწყო და, გარკვეულად, დოლარის დეფიციტიც შექმნა.

— იმის თქმა გინდათ, რომ ეროვნულმა ბანკმა დოლარის დეფიციტი ხელოვნურად შექმნა?

— დიახ...

— ეს კარგია თუ ცუდი?

— რეზერვების გაზრდა, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ მეორე მხრივ, ეროვნულ ბანკს უნდა ეფიქრა, რომ ყველაფერ ამას შესაძლოა, ლარის კურსზე მოეხდინა გავლენა. მოკლედ, ეროვნულ ბანკს ოქროს შუალედი უნდა დაეჭირა.

— რატომ არ დაიჭირა?

— ამის დანამდვილებით თქმა არ შემიძლია, მაგრამ საქმე ალბათ, მართვის პრობლემებსა და არაპროფესიონალიზმთან გვაქვს. საერთოდ, ლარის დევალვაციის მიზეზები კომპლექსურად უნდა განვიხილოთ და არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გასულ წელს ექსპორტი 2 პროცენტით შემცირდა, იმპორტი კი, 7 პროცენტით გაიზარდა. იმპორტის გაზრდა, თავისთავად, დოლარის გადინების წახალისებას იწვევს.

— ექსპორტი რატომ შემცირდა?

— ეს წარმოების პრობლემაა...

ლარის კურსზე გავლენას ისიც ახდენს, რომ ცეკვა-თამაშებს და კულტურულ ღონისძიებებს ისევ ბიუჯეტიდან აფინანსებენ. ვაუჩერებსაც ისევ არიგებენ. არადა, არ შეიძლება, ბიუჯეტი მთლიანად სოციალურ პროგრამად და კერძო სექტორების წახალისებად იყოს გადაქცეული. ზემოხსენებულ ღონისძიებებს სახელმწიფო მხოლოდ რადიკალურ შემთხვევებში უნდა ახორციელებდეს, ხოლო თუ ყველაფერ ამას სისტემატური ხასიათი აქვს, ეროვნული ვალუტის დევალვაციურ და შემდეგ, ინფლაციურ პროცესებამდე მივყავართ... სხვათა შორის, 2014 წლის მონაცემებით, მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 9 პროცენტია, რაც ძალიან ცოტაა და იმის შედეგია, რომ ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებები არ ხორციელდება... ერთი სიტყვით, ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: დეფლაციის კი არა, ინფლაციის უნდა გვეშინოდეს. ეროვნული ბანკი დეფლაციას ეთამაშებოდა — მონეტარული პოლიტიკა შეარბილა და ხელი კრედიტების გაცემასაც შეუწყო: ჩემი ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კრედიტების გაცემა ლარში 60 პროცენტზე მეტით გაიზარდა, თან კრედიტები უმეტესად ლარშია გაცემული. შესაბამისად, ბაზარზე ლარის მასა გაიზარდა, რასაც დოლარის დეფიციტი მოჰყვა. აქ კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც ჯერ არ მუშაობს: მსოფლიოში ნავთობის ფასი დაეცა და ბარელი უკვე 42 დოლარი ღირს. ესე იგი, ამ კუთხით იმპორტზე ნაკლები დოლარი იხარჯება, მაგრამ ამის კომპენსაცია არ ჩანს.

— ანუ, ლარზე უარყოფითად „ბენზინის მაფია“ მოქმედებს?

— ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია: იმპორტისთვის იმაზე ნაკლები დოლარი გვჭირდება, ვიდრე აქამდე გვჭირდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლარის დევალვაცია მაინც ხდება და ყველაფერ ამას გლობალური პრობლემებიც ემატება — ევროპაში ევროს მიმართ ლიბერალური პოლიტიკა ხორციელდება, რასაც აშშ დოლართან მიმართებაში არ აკეთებს. შესაბამისად, დოლარი ევროსთან მიმართებაშიც გამყარებულია. გვინდა თუ არა, სხვა ქვეყნებთან კავშირი მაინც გვაქვს, თან ჩვენი ძირითადი პარტნიორი თურქეთი, რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანია. ჩვენს ეკონომიკაზე გავლენას სომხეთში მიმდინარე პროცესებიც ახდენს... ინვესტორები ყურადღებას ოპოზიციონერთა იმ განცხადებებსაც აქცევენ, რომელთაც უცხოეთში აკეთებენ, ანუ როცა ქვეყნის შიდა პოლიტიკური თამაშები გარეთ გადის, ეს ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს.

— ბატონო სოლომონ, თქვენი ინფორმაციით, ბოლო ორ წელში ქვეყანაში რა რაოდენობის ინვესტიცია შემოვიდა?

— მაგალითად, 2014 წელს ქვეყანაში მილიარდამდე ინვესტიცია შემოვიდა, რაც ცოტა ნამდვილად არაა, თუმცა, ისეთი წლებიც გვახსოვს, მაგალითად, 2007 წელი, როცა ინვესტიციამ 2 მილიარდი შეადგინა. ასეა თუ ისე, მგონია, რომ ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის კორდინაცია სუსტია...

— ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ „პანორამა თბილისი“ ჩვენს ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებს. ასე რატომ ფიქრობთ?

— ნებისმიერი ინვესტიცია — „პანორამა თბილისი“ იქნება, ტერმინალის, ან ჰესის მშენებლობა, თუ ჩვენს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას და რელიგიას არ ეხება, უნდა მივიღოთ და ინვესტიციების წარმოშობითაც არ უნდა დავინტერესდეთ... საერთოდ, ეკონომიკაში ღრმად მანამ უნდა წავიდეთ, ვიდრე ეკონომიკა პოლიტიკაში არ გადაიზრდება ანუ რამის სანაცვლოდ ეკონომიკური ურთიერთობები არ უნდა გავაღრმავოთ. აი, მაგალითად, დუბაიში მნიშვნელობა არა აქვს, პრეზიდენტი და პრემიერი ვინაა, მთავარი ეკონომიკური აღმავლობაა... მოკლედ, მთავარია, ფული შემოვიდეს და დამთავრდა - მეტი არაფერია საინტერესო! ჩვენ შუაგული ლიხტენშტეინი ან შვეიცარია არ ვართ, რომ ინვესტიციები ასარჩევად გვქონდეს!..

— სახელმწიფო შპს-ების შექმნა არასწორი რატომაა?

— იმიტომ, რომ სახელმწიფო ფულს სახელმწიფო კომპანია იყენებს და თუკი ასეა, მაშინ ამ სახელმწიფო შპს-ებს მონაწილეობა პრივატიზაციაშიც მივაღებინოთ და სახელმწიფო ობიექტები ისევ სახელმწიფომ იყიდოს. ეს შპს-ები, ერთი შეხედვით, თითქოს რაღაც ხვრელების ამოვსებას ემსახურებიან. 8 წელია, ვამბობ, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რაც საჭირო არაა. ეს ინსტიტუციური პრობლემაა და საჯარო ფუნქციები ზოგიერთ ისეთ კომპანიას აქვს დავალებული, რომელიც შეიძლება, შპს იყოს. ჯანდაცვის, ან ენერგეტიკის სამინისტროს შპს-სთან რა ხელი აქვს?

ერთი სიტყვით, სახელმწიფოსა და მესაკუთრის ფუნქციები უნდა გაიმიჯნოს. ის, რაც მისი საქმე არაა, სახელმწიფომ არ უნდა გააკეთოს და პირიქით. მაგალითად, წინა მთავრობა საწვავს არიგებდა, ახალი მთავრობა კი — ვაუჩერებს, მაგრამ ეს მთავრობის საქმე არაა. ხელისუფლების საქმე სულ სხვა რამეა. საერთოდ, მთავრობის ყველა წევრსა და პარლამენტარს ვურჩევ, ისეთი ინიციატივით გამოვიდეს, რომ ამით მეორე საქმე არ გააფუჭოს. მათი ზოგიერთი გადაწყვეტილება პირდაპირ სადღეგრძელოს ჰგავს.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ე.წ. პარალელიზმია. ასე, მაგალითად, ეკონომიკურ საბჭოს თითქმის იგივე ფუნქციები აქვს, რაც მთავრობას და აქედან გამომდინარე, საინტერესოა, საბჭოში იდეების გენერაცია ხდება თუ არა. თუკი საბჭოს სხდომას მხოლოდ ეკონომიკური გუნდის მინისტრები, საინვესტიციო ფონდისა და რამდენიმე სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელობა ესწრება და განხილული საკითხების მთავრობაზე რეგისტრაცია ხდება, მაშინ ეს პარალელიზმი რა საჭიროა?

საბა მეგრელიშვილი

◎ ალიანჩალიანი

თბილისში სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის კომუნალური ვაუჩერები გაორმაგდა

ამის შესახებ თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

„2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალურად დაუცველ ოჯახებზე კომუნალური სუბსიდიის სახით ჯამში 9 მილიონნახევარი ლარი გაიცა. ჩვენ, როგორც ვპირდებოდით გაორმაგებას ჩვენს ამომრჩევლებს, 2015 წლის ბიუჯეტიდან ამ მიზნით ზუსტად გაორმაგებული თანხა 19 მილიონი ლარი დაიხარჯება. შესაბამისად, ის განცხადებები, რაც ამ თვალსაზრისით კეთდება, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ამიტომ მინდა, საზოგადოებას ვუთხრა, რომ ჩვენი დაპირებები ჩვენი მხრიდან იქნება შესრულებული“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ოჯახებისთვის, რომლებიც სოციალურად დაუცველები არ არიან, კომუნალური ვაუჩერის გაცემის ახალი მექანიზმები განისაზღვრება

ამის შესახებ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა განაცხადა.

რაც შეეხება სოციალურად დაუცველ ოჯახებს, გელა ჩივიაშვილის თქმით, როგორც თბილისის მერის წინასაარჩევნო პროგრამაში იყო განსაზღვრული, მათთვის კომუნალური ვაუჩერი გაორმაგდა, თუ 2014 წელს ამ მიზნით 9 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, 2015 წელს უკვე 19 მილიონი ლარი იქნება გადარიცხული და მათ 250 ლარის მაგივრად 500 ლარი გადაერიცხებათ.

„რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, რომლებიც სოციალურად დაუცველთა კატეგორიას არ განეკუთვნებიან, ისინი იანვარში, თებერვალსა და მარტში კომუნალურ ვაუჩერს მიიღებენ ზუსტად იმ მექანიზმით, რაც იყო 2014 წელს, ხოლო 2015 წელს მოხდება სამუშაო ჯგუფის შეხვედრა და განისაზღვრება მექანიზმები“, — განაცხადა ჩივიაშვილმა.

მისი თქმით, ზოგისთვის შეიძლება ეს ვაუჩერის თანხა გაიზარდოს, ზოგისთვის კი — შემცირდეს.

სასწრაფო დახმარების ცენტრის მედდებს ხელფასი ეზრდებათ

ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, უფროსი მედდის შრომის ანაზღაურების გაზრდა გათვალისწინებულია 100 ლარით და შეადგენს 850 ლარს, ხოლო უმცროსი მედდას ხელფასი 125 ლარით, 750 ლარამდე გაეზრდება.

ქუთაისში ორი ახალი ბაღი შენდება

ქუთაისში, ავტოქარხნისა და სულხან-საბას დასახლებებში მშენებარე ბაგა-ბაღები ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ დაათვალიერა. სკოლამდელ დაწესებულებებს ტენდერში გამარჯვებული კომპანიები შპს „ჯი-თი-აი 2007“ და „გილომარი 2“ აშენებენ. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან ფინანსდება.

სულხან-საბას დასახლებაში 2-სართულიანი ბაღის აშენება 452 542 ლარი ჯდება. შენობა 2015 წლის მაისში უნდა ჩაბარდეს. ავტოქარხანაშიც ბაღი 2-სართულიანი იქნება, მშენებლობისთვის 494 000 ლარი გამოიყო. შენობა მარტში ჩაბარდება. თითოეული ბაღი 140 აღსაზრდელზე იქნება გათვლილი.

ინტერპრესი

კანონი. როდის ამოქმედდება იგი?

ხმაურითა და ერთი აურზაურით გავაცილეთ 2014 წელი და აღტყინებულები, ფეიერვერკების გრიალით შევხვდით ახალ, 2015 წელს. შევხვდით კი არა, ლამის დავიმხეთ თავზე ქალაქი!.. შიგადაშიგ თოფ-იარაღის ხმასაც გაიგონებდა სმენაგამახვილებული კაცი, მაგრამ რას ამბობთ, რომელი თოფი თუ დამბაჩა შეედრება ახლანდელ, სულ უკანასკნელი ტექნიკით დამზადებულ ფეიერვერკს, წითელ-ყვითელ-მწვანე ცეცხლს რომ ყრის თვალებიდან, ხმაც ისეთი აქვს, მიმიქარია ნებისმიერი მოქმედი ვულკანი! გაკვირვებული და შეცბუნებული მიყურებს ჩემი ევროპელი სტუმარი, პირველად არის საქართველოში, ისიც საახალწლოდ! რატომ უკვირს ნეტავ, განა ეს დალოცვილი ფეირვერკი მათი მოგონილი არ არის? ჩვენც გვაზიარეს ამ კულტურას, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ ჩვენებურად ვეზიარეთ, ქართული გული და სული ჩავდეთ და ისე გამოვიყენეთ, განა მხოლოდ ახალ წელს, სხვა დროსაც ავტეხთ ხოლმე ფეიერვერკობანას... ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ხმაური გვიყვარს ქართველებს, ადამიანის ჯანმრთლობაზე მზრუნველი მედიცინაც გვიყვარს, ყურს არ ვუგდებთ, თორემ... ჯანმრთელობის და ნერვიული სისტემის მტერიაო ხმაური, მაგრამ, რაღაც ეჭვი მეპარება. ჩვენ — ქართველებს სხვაგვარი ჯანი და ნერვული სისტემა გვაქვს უთუოდ (ევროპელისაგან განსხვავებული!), თორემ იმ ხმაურის გადამკიდე, რომლის ატეხვაც ჩვენ გვიყვარს, ამდენ ხანს ამოვწყდებოდით, ალბათ! ასე იყო თუ ისე, გავისტუმრეთ ძველი წელი, ამ გრუხუნში და აურზაურში, იმედი მაქვს, გზას გაიგნებდა, თუმცა, ჩვენი ავი და კარგი თვისებები და წეს-ჩვეულებანი ისე ზედმიწევნით აქვს შესწავლილი, არა მგონია, დაგვთმოს და ადვილად მიგვატოვოს, აქვე იქნება სადმე. იყოს და გვითვალთვალოს, ვნახოთ რასაც დაანახვებს ახალი, 2015 წელი!

შუაღამე გადასულია და ამ ფიქრებით დავჯექი ჩემს უკვე მოძველებულ კომპიუტერთან, რა ვიცი, ჯერჯერობით ვუგებთ ერთმანეთს. ჰოდა, მოვკალათდი მისთვის ფიქრების გასაზიარებლად, რომ უცებ სადარბაზოს კარი მეტისმეტი ხმაურითა და ჯახაჯუხით შემოაღეს (შემოანგრიეს!) და ფეხების ისეთი მოძრაობით, თითქოს კიბეებს გამძლეობას უსინჯავენო, ზედა სართულებზე აირბინეს. ამით არ დამთავრებულა ჩემი „გამოფხიზლება.“ ღიად დატოვებულმა სადარბაზოს კარმა ჭრიალი დაიწყო და მისმა „კვნესამ“ გული ამიჩვილა, ლამის ამატირა. ლამის, მაგრამ ტირილი კი არა, ღრიალი მომინდა მას შემდეგ, როცა ჭერმა ზანზარი დაიწყო. ზედა სართულზე მობინადრემ, მას შემდეგ, რაც სტუმრებთან თუ ოჯახის წევრებთან ერთად, ქუსლიანი ფეხსაცმელებით ყველა ოთახი მიირბინ-მოირბინა თუ მიიცეკვ-მოიცეკვა, შემდეგ ვიღაცები ხმაურიანად გააცილა, ბოლოს ოთახებს მიუბრუნდა და როგორც მივხვდი, ავეჯის გადაადგილება დაიწყო მისთვის იოლი ხერხით — იატაკზე გაჩოჩ-გამოჩოჩებით... და აბა, თუ ხვდებით რომელ საათზე? ღამის ორი საათი სრულდებოდა!

ნეტავ რატომ ვწერ ყოველივე ამას, ან რა მიკვირს და რატომ მიკვირს? ასეთი რამ ხომ ათეული წლების მანძილზე, ყოველდღე თუ არა, ყოველ კვირას მაინც ხდება ჩვენს თავს. და არა მხოლოდ ჩემს თავს. ნეტავ ასე იყოს, ერთეულთა უწესრიგობის აღმოფხვრა არც თუ ისე ძნელია, ალბათ, და, ზოგადად, გამონაკლისები ყველგან და ყველაფერშია. სავალალოდ, ძალიან ბევრი გვყავს ისეთები, რომლებიც არად აგდებენ და უგულებელყოფენ სხვათა დასვენებისა და ძილის უფლებებს ღამითაც კი და ცოტანი ვართ უგულებელყოფილნი, დაზარალებულნი... და მაინც, ყოველი ამგვარი შემთხვევის დროს, უსაზღვროა ჩემი გაკვირვება. აი, სწორედ ეს არის საკითხავი, ასეთი უცნაური შეუგუებლობა!

ასე დავიწყე ჩემი წერილი, რომელიც, ჩვენი ყოფის, ჩვენი თანაცხოვრების, გნებავთ, მეზობლური ურთიერთობების თანამედროვე, ანუ ახლანდელი უცნაური კულტურისთვის მინდოდა მიმეძღვნა, გულისტკივილი გამომეხატა. საიდან მოვიტანეთ ასეთი დაუდევრობა, ერთმანეთის უპატივცემლობა, ვერ ვიხსენებ ჩემი ბავშვობის თუ ახალგაზრდობის დროის ვერც ერთ დეტალს უხეშობით და სიტლანქით, ხმაურით თუ „ქეიფით“ რომელიმე მეზობელს სხვა ოჯახებისთვის ღამის ძილი დაეფრთხო. ძალიან კარგად მახსოვს ჩემი ახლობლების და ნათესავების ოჯახები. მათ შორის, დეიდას ოჯახი. მესამე სართულზე ცხოვრობდნენ, სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვის აშენებულ სახლში. სტუდენტობის წლების დიდი ნაწილი მასთან გავატარე. ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა, ჩამოვიდა მეოთხე სართულის მეზობელი, შვილის დაბადების დღეზე მიიწვია ჩემი დეიდაშვილი და ოჯახის დიასახლისს — დეიდაჩემს იქვე წინასწარ მოუბოდიშა, ვაი თუ ახალგაზრდებმა თავიანთი მოლხენით ამ საღამოს შეგაწუხონო და ასეთი „შეწუხებები“ ხდებოდა იშვიათად... ახლა კი, პირიქით: იშვიათობად ქცეულა მშვიდი ღამე. თუ არის და ქუჩაში ატყდება ძველი, უვარგისი მოტორებიანი ავტომობილების განუწყვეტელი „სრბოლა“, ან იწყება სადარბაზოში შემოვარდნილ უცხო პირთა „საქმის გარჩევები“, ხშირია, ეგრეთ წოდებული, „ფეირვერკობანა“, მომრავლებული რესტორნებიდან გამოსულ შეზარხოშებულთა ხმებიც ემატება ყოველივე ამას და თავად ზოგიერთი ბინადრის აჩემებული, ზღვარს გადასული სტუმრიანობაც არღვევს ღამის ქალაქის სავალდებულო სიმშვიდეს, რა გვემართება, საით მივდივართ. როგორ ვცხოვრობთ, რა ჰქვია ასეთ ცხოვრებას , ნუთუ ეს არის წინსვლა ჩვენი ყოფის კულტურაში?



ამ ფიქრებით მივუბრუნდი ჩემს ჩანაწერს, რომ უცებ, მეტეორივით შემოიჭრა ახალი, სამწუხარო ამბავი, კიდევ ერთი ფაქტი იმისა, რომ უსაფრთხო არ არის ჩვენი ცხოვრება, ტკივილს ტკივილი ემატება, ჭრილობას — ჭრილობა. ახლა უპატივცემლობასა და უდიერობაზე, ღამის მშვიდ ძილსა და მოსვენების უფლებებზე საუბარი უხერხულია, უარესი რამ წამოგვწევია და იმიტომ, ახლა განგაშის ატეხვის დრო მოსულა! თუმცა, ეს დრო ხომ გვქონდა! გვეგონა,რომ გავიარეთ, გვეგონა განგაშიც დროულად ავტეხეთ და შედეგსაც მივაღწიეთ, მაგრამ, თურმე, არაფერიც არ გაგვივლია, ადამიანები, საქართველოს მოქალაქენი, კვლავაც უაზროდ იღუპებიან, კვლავაც მოძრაობენ პარაზიტები, ადამიანის სიცოცხლის უგულებელმყოფნი, რომლებიც დღისით თუ ღამით, მაგრამ კარგად შენიღბულნი, სხვათაგან დაფარულად, შეუმჩნევლად ხოცავენ ადამიანებს, ტყვიით უსპობენ სიცოცხლეს, ან აფეთქებენ... თუ ამ რამდენიმე წლის წინათ, ნაციონალების მთავრობის დროს, ახალგაზრდებს განუკითხავ-განუსჯელად, ეგრეთ წოდებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ კანონით, გამვლელ-გამომვლელთა წინაშე ტყვიით ცხრილავდნენ „წესრიგის დამცველები“, დღეს სულ სხვაგვარად იქცევა ხალხის უჩინარი მტერი. აი, სწორედ ამ დღეებში, შემზარავად, ამავე დროს გამომწვევად და ცინიკურად მოუსპეს სიცოცხლე შვილის საფლავზე ყვავილებით მისულ მამას, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებებისათვის, სიმართლისათვის დაუღლელ მებრძოლს, გმირული სულისკვეთების ადამიანს — იური ვაზაგაშვილს. დიახ, ასე მოხდა, ერთ საჭირბოროტო საკითხზე ფიქრი და მსჯელობა ვერ დავასრულეთ ქვეყნის ყოფითა და კულტურით (თუ უკულტურობით?) შეჭირვებულებმა, რომ მეორე, უარესი და ამჯერად უკვე გამოუსწორებელი ბოროტება დაგვატყდა თავს. სავალალოდ, დღეს კი არადა, ოც წელზე მეტია ამ დღეში ვართ, ქვეყნის ერთ ჭირზე საუბარს ვერ ვასრულებთ, რომ მეორე წამოგვეწევა, მაგრამ თუ დავუკვირდებით, ყველა ჭირი ერთმანეთზეა რგოლებივით გადაბმული, ერთი მეორეს იწვევს ან ხელს უწყობს და ერთ უწყვეტ ჯაჭვს ჰქმნის. აბა, დავუკვირდეთ! ჩვენ ვთქვით, რა დროს ხმაურზე და უძილო ღამეებზე საუბარია, როცა ქვეყანაში უარესი რამ ხდებაო, მაგრამ, ამავე დროს ისიც კარგად ვიცით ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებანი ადამიანის ჯანმრთელობას, პირდაპირ ჩვენს სიცოცხლეს ემუქრება, ხმაურმა შეიძლება იმ წუთში არ მოგკლას (იშვიათად, მაგრამ მაინც, შეიძლება მოგკლას კიდეც!), მაგრამ მისგან გამოწვეულმა დაავადებებმა სიცოცხლე ისე გაგიმწაროს, სიკვდილი განატრებინოს, უცებ სიკვდილი! ამიტომ, თუ კარგად დავფიქრდებით, მოხმაურენი, სხვათა უფლებების, სხვათა დასვენებისა და ღამის ძილის უგულებელმყოფნი არა უბრალოდ დამნაშავეები, არამედ, უფრო მეტიც, პოტენციური მკვლელები არიან! აბა, მითხარით, რა ჯობს, რა სახით მოუსპობენ ადამიანს სიცოცხლეს, როგორ გაწირავენ მას: ნერვული სისტემისა და სისხლძარღვთა დაავადებით საწოლს ხანგრძლივად მიაჯაჭვის შედეგად თუ ერთბაშად, აფეთქებით ან ტყვიით! რა ვქნათ და რა ვიღონოთ, ვის უნდა, რომ ჩვენი ხალხი, ათასწლოვანი კულტურითა და ისტორიით დღემდე ხელდაშვენებული, ახლა ველურს დაემგვანოს, რა ხდება, ჩვენი ცხოვრება არც უკუსვლასა ჰგავს და მით უფრო, არა ჰგავს წინსვლას. ადათ-წესები ძველმოდურად მივიჩნიეთ და მივივიწყეთ, სამაგიერო, აუცილებელი და ღირებული, ცხოვრების წესრიგის მიმთითებელი შევქმენით კი რამე? კანონი? სად არის და თუ არის, როდის ამოქმედდება იგი!

ადამიანი ზედმიწევნით უნდა იცავდეს არა მხოლოდ თავისი ოჯახის წევრების უფლებებს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას: სახლში, ეზოში, ქუჩაში, სამსახურში, ტრანსპორტში, მიწაზე თუ ჰაერში, არამედ, უნდა იცავდეს ყველას, საზოგადოების თითოეული წევრის უფლებას. ასევე თითოეული ჩვენგანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს დასვენების, ჰიგიენისა და, ზოგადად, სისუფთავის არა მხოლოდ უფლებით, არამედ მისი დაცვის პასუხისმგებლობით. თითოეულ ჩვენგანს მოეთხოვება წესრიგი ყველა საკითხში, ეს იქნება ჰიგიენა, სისუფთავე, დასვენება, მორიდება, ზრდილობა, კანონის მორჩილება თუ ყველაფერი ის, რაც უზრუნველყოფს ნორმალური გარემოს შექმნას ადამიანური თანაცხოვრებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქნილი და სხარტი კანონი მას უნდა სჯიდეს. მაგრამ, თუ ეს ასე არ არის და დაუსჯელად, სახელმწიფოს უყურადღებობით ირღვევა ჩვენი ცხოვრების ეს ელემენტარული წესრიგი, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთ ქვეყანაში მართალია, არის ხალხი, მაგრამ არ არის საზოგადოება, არის მთავრობაც, არის კონსტიტუციაც, კანონებიც, მაგრამ ამ და ასეთი ქვეყნის კანონებს აკლიათ სრულყოფა, ანუ ისეთი სახის მიცემა, რაც ხალხს ჩამოაყალიბებს საზოგადოებად!

ბევრი ვიფიქრე და გული დამწყდა, როდესაც მივხვდი, რომ ჩემი ხასიათი და შეუგუებლობა ხმაურისა და დაუდევარი ქცევების მიმართ, აქ არაფერ შუაშია! შუაშიც და თავშიც ხელისუფლებაა, რომელმაც უნდა იფიქროს ხალხის ყოფაცხოვრებისა და შრომის კულტურაზე, ხალხის საზოგადოებად ჩამოყალიბებაზე...

გულნარა სტურუა

◎ ალიანჩალიანი

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო 178 ქვეყანას შორის 22-ე ადგილზეა

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო 178 ქვეყანას შორის 22-ე ადგილზეა. საერთაშორისო ფონდი Heritage Foundation ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შესახებ 2015 წლის კვლევას აქვეყნებს. კვლევის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი 73,0 ქულით არის შეფასებული. გასულ წელთან შედარებით, საქართველოს ერთიანი მაჩვენებელი 0,4 პუნქტით გაიზარდა, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია კორუფციისგან თავისუფლებით, მონეტარული თავისუფლებისა და სამთავრობო ხარჯების მენეჯმენტით, რომელმაც შრომის თავისუფლების მხრივ მნიშვნელოვანი უკუსვლა გადაწონა.

საქართველო „მეტწილად თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფშია. ამასთან, ევროპის რეგიონის 43 ქვეყანას შორის, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლით მე-11 ადგილს იკავებს. Heritage Foundation-ის შეფასებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკური ინდექსი 2,6 პუნქტით გაიზარდა, აჩვენა რა, 5 ეკონომიკური თავისუფლების გაუმჯობესება, მათ შორის, კორუფციისგან თავისუფლება, სამთავრობო ხარჯების კონტროლი, ბიზნესის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება და საინვესტიციო თავისუფლება.

„გალფში“ საგამოძიებო სამსახური შევიდა

კომპანია „გალფში“ საგამოძიებო სამსახური შევიდა. ინფორმაცია ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაუდასტურეს.

„გალფში“ საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს 218-ე მუხლით, რაც გადასახადებისგან თავის არიდებას გულისხმობს. მიმდინარეობს დოკუმენტების შესწავლა. დამატებით დეტალებს ჯერჯერობით ვერ გეტყვით“, - აცხადებენ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში.

კომპანია „გალფის“ ერთ-ერთი მფლობელია რუსეთში მცხოვრები დავით იაკობაშვილი.

სასამართლომ თანამდებობაზე აღადგინა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ლევან ხაბეიშვილმა განუცხადა, 2014 წლის 22 აგვისტომდე იგი მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის, მამუკა ქაცარავას მოადგილედ მუშაობდა.

„2014 წლის 22 აგვისტოს ბრძანებით, მე გამათავისუფლეს თანამდებობიდან და ბრძანებაში ეწერა, რომ მე არაჯეროვნად ვასრულებდი ჩემს უფლებამოვალეობას, — განაცხადა ლ. ხაბეიშვილმა. რაც შეეხება შეკითხვას იმის შესახებ, რომ დედაქალაქის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის დაყოფის შემდეგ, რომელიც სამ ნაწილად გაიყო და, სად უნდა მოხდეს მისი აღდგენა, ლევან ხაბეიშვილი ამბობს, რომ სასამართლომ ეს გაითვალისწინა და მისი აღდგენა უნდა მოხდეს სამსახურის უფროსის მოადგილედ.

◎ დედაქალაქი



პრობლემები, რომლებსაც „პანორამა თბილისი“ შექმნის

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ ეწინააღმდეგება თანაინვესტირების ფონდის „პანორამა თბილისის“ სოლოლაკის ქედზე აშენებას. გარემოს დამცველების თქმით, აღნიშნულ რაიონში პროექტი დაარღვევს ისედაც პრობლემატურ ეკოლოგიურ ბალანსს, რაზეც ლაპარაკი არ არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტში, რომლის მომზადებაც სკანდალურად ცნობილ კომპანია „გამა კონსალტინგს“ ჰქონდა დავალებული.

მანანა ძოწლაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ ხელმძღვანელი: „პანორამა თბილისის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი მოამზადა შპს „გამა კონსალტინგმა“, კომპანიამ, რომელმაც თავის დროზე „დარიალჰესის“, „ბახვი ჰესის“ და სხვა წარუმატებელი ბიზნესპროექტების გარემოზე ზემოქმედება შეაფასა. ამ პროექტების წარუმატებლობა ძირითადად სწორედ გარემოზე ზემოქმედების რისკების გაუთვალისწინებლობამ განაპირობა. ეს რისკები განხილული არ იყო დოკუმენტებში. ამიტომაც გამაკვირვა „პანორამა თბილისის“ ავტორების არჩევანმა, დოკუმენტის მომზადება მიენდოთ „გამა კონსლატინგისთვის.“ ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რაც დამართა „დარიალჰესს“ შარშან დატრიალებულმა სტიქიურმა უბედურებამ. ამიტომაც ვერავინ იტყვის, რომ ჩვენ უბრალოდ არ მოგვწონს „გამა კონსალტინგი.“ ვიწუნებთ მის მიერ ცუდად გაკეთებულ საქმეს, რასაც ფაქტები მოწმობს. „გამა კონსალტინგის“ შეფასებებმა ვერ გაამართლა ძალიან ბევრ შემთხვევაში. თუნდაც „ფარავანჰესთან“ დაკავშირებით, რის გამოც ჩვენ მივმართეთ ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის (ეს ორგანიზაცია აფინანსებდა მშენებლობას) პროექტის შესაბამისობის მექანიზმს, გადაეხედათ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტისთვის. შედეგად დადასტურდა, რომ მთელი რიგი ფონური კვლევები არ იყო ჩატარებული. ანალოგიური პრობლემის გამო შევიტანეთ სარჩელი „დარიალჰესთან“ დაკავშირებით, ასეთივე სარჩელი მზადდება ხულოს ჰესზე. თუ გარემოს დამცველების პრეტენზიები არ იქნება გათვალისწინებული „გამა კონსალტინგთან“ დაკავშირებით, პრაქტიკაც ნათელს გახდის, რომ ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული არასრულფასოვანი კვლევები წამგებიანია ბიზნესისთვის.

— საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სასტუმრო არ მიეკუთვნება გარემოზე ზემოქმედების მაღალრისკიან პროექტებს, ამიტომ პროექტის ავტორს გარემოზე ზემოქმედების ანგარიში არ მოეთხოვება. „პანორამა თბილისის“ ავტორებს არც კი ევალებოდათ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადება.

— მნიშვნელოვანი საკითხია კანონის ასე ფორმულირება როდის, როგორ და რატომ მოხდა, თუმცა, ეს ცალკე თემაა. რაც შეეხება „პანორამა თბილისს“, გარემოს დაცვის ანგარიშის მომზადება ფაქტობრივად ინვესტორის კეთილი ნებაა, მაგრამ თავის მხრივ კვლევა ვერ გვაძლევს დეტალურ წარმოდგენას იმაზე, თუ რა ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს პროექტმა გარემოზე. არადა, გადაჭრით შეიძლება თქმა, „პანორამა თბილისი“ პრობლემური იქნება გარემოს დაცვის თვალსაზრისით. როგორც მშენებლობის, ისე ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ, გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადები კიდევ უფრო დაამძიმებს მდგომარეობას სოლოლაკში და, ზოგადად, მთაწმინდის რაიონში, სადაც ისედაც დაბინძურებულია ჰაერი. ამიტომაც არ შეიძლება ასეთი მრავალფუნქციური დაწესებულების ჩადგმა ქალაქის ცენტრში.

„პანორამა თბილისის“ შესახებ „გამა კონსალტინგის“ დასკვნა არასრულფასოვანია?!

— ვარაუდობენ, რომ კოჯრის დამატებითი გზის მშენებლობა გამორიცხავს სატრანსპორტო ნაკადების გაზრდას.

— ლაპარაკია კრწანისის გზის შესაძლო რემონტსა და ახალი დამაკავშირებელი ქუჩების მშენებლობაზე, რაც „პანორამა თბილისის“ ავტორების აზრით, მოხსნის კოჯრის გზაზე არსებულ დატვირთვას. ეს არის პროექტში აღწერილი პოტენციური გეგმა, რომელიც უნდა შეასრულოს თბილისის მერიამ, ოღონდ არავინ იცის როდის. ამასთან, ახალი ქუჩების გაჭრა არ იწვევს თავისთავად სატრანსპორტო ნაკადების შემცირებას და ამის ბევრი მაგალითი გვაქვს თბილისშიც. სატრანსპორტო ნაკადებს ამცირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის უკეთესი ფუნქციონირება და ფუნქციური დაწესებულებების გატანა უკვე გადატვირთული ცენტრიდან. ახალი ცენტრების დამატება გარემოზე ნამდვილად ვერ იმოქმედებს პოზიტიურად. სხვათა შორის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტშიც აღნიშნავენ, რომ ამ რაიონში, სადაც სურთ ააშენონ „პანორამა თბილისი“, არანაირი სამრეწველო გამონაბოლქვი არ არის, ძირითად პრობლემას წარმოადგენს ავტომობილების გამონაბოლქვიო?! ე.ი. აღიარებენ, მაგრამ არ ითვალისწინებენ რეალობას.

— იქნებ გამწვანების ზოლებით აპირებენ ვითარების დაბალანსებას?

— გამწვანებაა ის, რამაც მყარი ეკოსისტემა უნდა შექმნას და ერთი ხელის მოსმით არ ყალიბდება, ამას დრო სჭირდება. ამასთან, დაბინძურებული ჰაერის პირობებში ძალიან ძნელია გამწვანების გახარება. ალბათ, შეეცდებიან ობიექტის ტერიტორიაზე ლამაზი ვიზუალი, ბაღი ან რამე მსგავსი შექმნან, მაგრამ დიდი განსხვავებაა ლამაზ ბაღსა და ეკოსისტემას შორის, რომელიც გვაძლევს სუფთა ჰაერს. ამასთან აღსანიშნავია, რომ პანორამა თბილისის რენდერებზე ბაღი, ტყე ან რამე მსგავსი კი არა, უცნაურად დარგული ბუჩქები ჩანს, რასაც საერთო არაფერი აქვს ეკოსისტემასთან.

ეს არის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი იმ პრობლემებისა, რასაც „პანორამა თბილისი“ შექმნის. „გამა კონსალტინგის“ დასკვნა კი არასრულფასოვანია.

ეკა ლომიძე

◎ უბინაოდ დარჩენილნი

სამშენებლო სექტორი უკეთესი მომავლის მოლოდინშია

სამშენებლო სექტორმა საქართველოში ურთულესი წლები გამოიარა. ჩვენს ქვეყანაში არაერთი ადამიანი ცხოვრობს, რომელმაც მშენებლობაში სოლიდური თანხა ჩადო, მაგრამ ეს თანხაც დაკარგა და ბინაც ვერ მიიღო. რას უნდა დავაბრალოთ კრიზისი, რომელიც ამ სექტორში რამდენიმე წლის განმავლობაში იყო, ან რა სტრატეგია უნდა აირჩიოს სამშენებლო ბიზნესმა, რომ ეს სექტორი კიდევ უფრო განვითარდეს და წინ წავიდეს? — ეს კითხვები bpn.ge-მ სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს დაუსვა.

სამშენებლო კომპანია „აქსისის“ გენერალური დირექტორი **გიორგი კაპანაძე** კრიზისის მთავარ მიზეზად საქართველოში შექმნილ არასტაბილურ სიტუაციას ასახელებს:

— დავიწყოთ აგვისტოს ომით, რომელიც მართალია, ხუთდღიანი იყო, მაგრამ მაინც მძიმე დარტყმა მიაყენა ჩვენს საქმიანობას. მიწისძვრა შეიძლება რამდენიმე წამის მანძილზე გაგრძელდეს, მაგრამ მისი შედეგების გამოსწორებას მრავალწლიანი შრომა სჭირდება. სწორედ ასეთი ეფექტი ჰქონდა ჩვენთვის აგვისტოს ომს. ამას დაერთო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ამ ყველაფერმა კი, ჩვენი ბიზნესის სტრუქტურა შეცვალა და წინასწარი გაყიდვებიც შეწყდა. შესაბამისად, კომპანიებს შემოსავალი შეუწყდათ, რომლითაც მშენებლობები უნდა გაეგრძლებინათ. შემდეგში ზოგიერთმა მოახერხა დაფინანსების წყარო ეშოვნა, ზოგმა ეს ვერ შეძლო და მივიღეთ კრიზისი, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ. დასრულდება თუ არა გაჩერებული მშენებლობები? — ამ კითხვაზე გიპასუხებთ: გააჩნია, ეს შენობები რენტაბელურია თუ არა, ასევე გააჩნია კომპანიას და მის ფინანსურ შესაძლებლობებს. ჩვენ წელს უკვე ყველა ვალდებულებას ვისტუმრებთ, რადგან დამფინანსებლები მოვიძიეთ. მშენებლობების ნაწილი უკვე დავასრულეთ, ხოლო დავალიანებების ნაწილი, რომელიც დარჩენილი გვაქვს, წელს უნდა გავისტუმროთ. იმისათვის, რომ რთული სიტუაციიდან გამოვსულიყავით, ძალიან მძიმე სამუშაო შევასრულეთ. ჯერ ერთი, ძალიან ბევრი კომერციული ფართი გვქონდა, რამაც დიდი შეღავათი მოგვცა, ასევე, სწორად ავაწყვეთ ურთიერთობა ბანკებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან და, რაც მთავარია, პროფესიონალი და თავდადებული თანამშრომლები გვყავს, რომლებმაც ძალიან დიდი დრო და ენერგია ჩადეს ამ საქმეში. ამ შრომამ ნაყოფი გამოიღო და დარწმუნებული ვარ, ხვალინდელი დღე ჩვენი კომპანიისათვის და, საერთოდ, სამშენებლო სექტორისათვის უკეთესი იქნება.

„ახლანდელი პერიოდი 2005-2007 წლებს მაგონებს, როცა საქართველოში სამშენებლო სექტორის აღმავლობა დაიწყო“, — გვითხრა სამშენებლო კომპანია „მონოლით ჯგუფის“ კომერციულმა დირექტორმა **ზვიად დარახველიძემ,** — ეს კომპანია ქართულ ბაზარზე 2 წელია, საქმიანობს.

— ის, რომ წინა წლებში ბევრმა ჩვენმა თანამოქალაქემ ბინა ვერ მიიღო, კომპანიების არასაიმედოობით უნდა აიხსნას: ხალხი ისეთ სამშენებლო ფირმებს ენდობოდა, რომლებიც საიმედონი არ იყვნენ. ამ კომპანიებმა სერიოზული შეცდომები დაუშვეს და ცოტა არ იყოს, მსუნაგობა გამოიჩინეს. ამას დაერთო ის, რომ მშენებლობის სფეროში ძალიან ბევრი არაპროფესიონალი მოვიდა, ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, სახლს აშენებდა. თანაც, საქართველოში ევროდონის შენობა რომ ააშენო, მყიდველიც შესაბამისი უნდა გყავდეს, შენობაში დიდი ფული რომ ჩადო, იმ ფასად ვერ გაყიდი, რომ რაღაც მოიგო, ამიტომ მშენებლობაც ხარისხის ხარჯზე იაფდება. სამშენებლო სექტორის სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული კომერციულ ბანკებზეც — თუ ბანკმა ვერ იმუშავა, მშენებლობაც ვერ იმუშავებს იმიტომ, რომ ჩვენი კლიენტების 80 პროცენტი ბინას ბანკების დახმარებით იძენს.

ქართულ სამშენებლო სექტორში არსებული სიტუაციის შეფასება მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელს **ირაკლი როსტომაშვილსაც** ვთხოვეთ:

— ამ სფეროში გამოცოცხლება აშკარად იგრძნობა. რომ ვთქვათ, სამშენებლო ბიზნესს სახელმწიფო, ან კერძო სექტორი დაეხმარაო, მართლები არ ვიქნებით, უბრალოდ, ქვეყანაში შეიქმნა სტაბილური სიტუაცია, რის გამოც მშენებლობები დაიწყო და ეს სექტორიც გამოცოცხლდა. სამშენებლო სექტორი პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მშვიდი გარემოა ქვეყანაში. არასტაბილურ ქვეყანაში ადამიანები ბინებს არ ყიდულობენ. არასტაბილურობაში მარტო საომარ მდგომარეობას როდი ვგულისხმობ — აქ იგულისხმება პოლიტიკურად არასტაბილური ვითარება.

— რა ეშველება იმ ხალხს, რომლებმაც მშენებლობაში დიდი ხნის დანაზოგი ჩადეს და უბინაოდ დარჩნენ?

— ეს მართლაც მტკივნეული პრობლემაა, რომელსაც მარტო ერთი, ან ორი კომპანია ვერ გადაწყვეტს, ამიტომ, მას სახელმწიფოს სერიოზული ჩარევა სჭირდება. ეკონომიკური კრიზისის დროს, მსოფლიოს ყველა ქვეყანამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა სამშენებლო სექტორის დასახმარებლად, გამონაკლისი მხოლოდ საქართველოა. თუ ჩვენთანაც ასე მოხდება, მაშინ ამ პრობლემას ეშველება, თუ არადა — არა. მე ახლა ვლაპარაკობ ძველ კომპანიებზე, რომლებსაც მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში მოუხდათ მოღვაწეობა. ამ მხრივ, ახალი კომპანიები უკეთეს მდგომარეობაში არიან. ჩემი აზრით, თბილისის მერიაში და საერთოდ, ხელისუფლებაში სამშენებლო სექტორის პრობლემები ბოლომდე გაცნობიერებული არა აქვთ. მათ გადაჭრას სისტემური ღონისძიებები სჭირდება და არა ერთჯერადი აქციები, რომლის მოწმენიც ხშირად ვხდებით ხოლმე.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ალექსანდრ ვერშბოუ:

ნატოს საწვრთნელი ცენტრი საქართველოში წლის ბოლომდე გაიხსნება

ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ განაცხადა, რომ არც ერთ მესამე მხარეს არ შეუძლია, გავლენა მოახდინოს ამ გადაწყვეტილებაზე

ნატოს საწვრთნელი ცენტრი საქართველოში მოქმედებას დაიწყებს 2015 წლის ბოლომდე. ამის შესახებ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის **მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოუმ განაცხადა ექსკლუზიურ ინტერვიუში საქართველოს საზოგადოებრივ ტელეარხთან.** მისი სიტყვებით, ცენტრის გახსნა საქართველოს შეიარაღებული ძალების მაღალი დონის აღიარებაა ნატოს მხრიდან და, გარდა პოლიტიკური მნიშვნელობისა, მას ასევე პრაქტიკული დატვირთვაც აქვს.

„ჩვენ გვინდა, გადავიდეთ ახალ ეტაპზე საქართველოსთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. ჩვენ ასევე გვინდა, რომ გამოცდილებიდან, რომელიც უკვე აქვს საქართველოს, მიიღონ სარგებელი სხვა ქვეყნებმაც, ნატოს პარტნიორმა ქვეყნებმაც, ისინიც გამოიყენებენ ამ ცენტრს“, — აღნიშნა ვერშბოუმ.

შეგახსენებთ, რომ საწვრთნელი ცენტრის გახსნა გათვალისწინებულია ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ახალ პაკეტში, რომელიც წარმოდგენილი იყო უელსში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სექტემბრის სამიტზე შარშან. ცენტრის დანიშნულებაა ნატოს ქვეყნების, პარტნიორი ქვეყნების სამხედროების და საქართველოს ჯარების ერთობლივი ვარჯიშები.

ადრე, შარშან 8 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომლითაც გამოთქვამდა გაფრთხილებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ინფრასტრუქტურის შესაძლო განთავსება „ნატოს ინტერესებისთვის“ საფრთხეს უქმნის სამხრეთ კავკასიაში „ჩამოყალიბებულ სტაბილურობას“. რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ ლუკაშევიჩმა მოგვიანებით განაცხადა, რომ „ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინსტრუმენტების გაჩენა საქართველოს ტერიტორიაზე გაზრდის დაძაბულობის გრადუსს“.

ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ, თავის მხრივ, 26 იანვრის ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „არც ერთ მესამე ქვეყანას არ შეუძლია, გავლენა მოახდინოს იმაზე, გახსნის ნატო ცენტრს პარტნიორ ქვეყანაში“ თუ არა.

„ნატო ასრულებს იმას, რასაც დაპირდა, და ჩვენ ამას კიდევ ერთხელ დავადასტურებთ, როდესაც საწვრთნელ ცენტრს გავხსნით“, — განაცხადა ვერშბოუმ.

„საიდუმლო ინფორმაცია“

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ ადგილი საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრისთვის უკვე განსაზღვრულია, თუმცა, მან უარი განაცხადა დეტალების გამჟღავნებაზე.

„სად, რა ფორმით, როგორი კონსტრუქციაა, ეს ყველაფერი საიდუმლო ინფორმაციაა და ამიტომ არაფრის თქმა არ შემიძლია... მას შემდეგ, რაც სასწავლო ბაზა ჩამოყალიბდება — აქ უკვე აღარაფერი იქნება დასამალი, მაგრამ ამ ეტაპზე სასურველია, დავიცვათ გარკვეული კონფიდენციალობა. მას შემდეგ, რაც გაირკვევა დეტალები, საზოგადოებრიობისთვის ცნობილი გახდება, თუ სად განთავსდება ეს ცენტრი“, — აღნიშნა სესიაშვილმა.

რუსეთი და ნატო

ალექსანდრ ვერშბოუმ მწუხარება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ხელმძღვანელობაში ნატოს მოქმედებები აღიქმება, როგორც საფრთხე. მან განაცხადა „დიდი სხვაობის შესახებ“ რუსეთის ლიდერების მოქმედებებსა და განცხადებებს შორის, რაც, მისი სიტყვებით, მის გაწბილებას იწვევს.

„პუტინმა წლის შემაჯამებელ ინტერვიუში თქვა, რომ იგი იცავს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ქვეყნებს აქვთ უფლება თავად შეარჩიონ, თუ უშიშროების როგორი მექანიზმები სჭირდებათ. მაგრამ რეალურობა სხვანაირია. ჩვენ ვხედავთ ყირიმის ანექსიას, გამოუცხადებელ ომებს მეზობლებთან, სეპარატისტების მხარდაჭერას, ბუდაპეშტის მემორანდუმის დარღვევას. ცხადია, რომ არის დიდი სხვაობა მათს მოქმედებებსა და განცხადებებს შორის“, — განაცხადა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ.

ამავე დროს ვერშბოუმ თქვა, რომ ნატო მტკიცედ იცავს თავის პრინციპებს, და რომ დაპირება, რომელიც მან გააკეთა 2008 წლის ბუდაპეშტის სამიტზე, საქართველოს მომავალი წევრობის შესახებ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, ძალაში რჩება. **„თქვენ გახდებით წევრი სახელმწიფო, როდესაც მოხვალთ კრიტერიუმების შესაბამისობაში“,** — აღნიშნა მან ქართული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ვერშბოუმ ასევე განაცხადა, რომ ნატოს ყველა სახელმწიფო დაინტერესებულია „ძლიერი და დემოკრატიული“ რუსეთით, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მათთვის იოლი იქნება, ააშენონ სტაბილური და უსაფრთხო ევროპა. მან მწუხარება გამოთქვა, რომ ამ ეტაპზე ამ გეგმების რეალიზაციისთვის არახელსაყრელი სიტუაციაა.

„რუსეთი სხვა მიმართულებით მიდის, მას სხვა მიზნები და ამოცანები აქვს, ამიტომ უნდა ვიყოთ მტკიცე და ძლიერი, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი პრინციპები, დავუპირისპირდეთ რუსულ აგრესიას მეზობლების წინააღმდეგ. აუცილებელია სტრატეგიული მოთმინება, რომ დავინახოთ ისეთი რუსეთი, რომელთანაც შესაძლებელი იქნება სტრატეგიული პარტნიორობა. მოვა ეს დროც. მე რეალისტი ვარ, მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაში ოპტიმისტიც. მჯერა, რომ რუს ხალხს ისეთივე მისწრაფებები აქვს, როგორიც ჩვენი ქვეყნების მოსახლეობას, და, ადრე თუ გვიან, რუსეთი დაადგება თანამშრომლობისა და პარტნიორობის გზას“, — განაცხადა ალექსანდრ ვერშბოუმ.

მომავალი ვიზიტი

ნატოს **გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუ ორდღიანი ვიზიტით საქართველოში ჩამოვა 29 იანვარს. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ადრე განაცხადა, მისი ვიზიტის ძირითადი მიზანია ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მოქმედი პაკეტის იმპლემენტაციის მონიტორინგი.**

ვერშბოუ თბილისში შეხვდება საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს, აგრეთვე ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის წევრებს და ოპოზიციის წარმომადგენლებს. ის აგრეთვე მოინახულებს საქართველოში ნატოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის მშენებლობის ადგილს და წაიკითხავს საჯარო ლექციას.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა გააკრიტიკა ევროკავშირის ლიდერების განცხადებები რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების შესახებ

ალექსის ციპრასმა სატელეფონო საუბარში ევროკავშირის უმაღლეს თავმჯდომარესთან უცხოეთის საქმეებისა და უშიშროების პოლიტიკის დარგში ფედერიკ მოგერინისთან გამოთქვა უკმაყოფილება, ბრალი დასდო ევროკავშირის ლიდერებს იმაში, რომ მათ კონსულტაცია არ გაუვლიათ საბერძნეთთან, სანამ გამოთქვამდნენ აზრს მოსკოვზე მომავალი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ.

კოსოვოში მასობრივ უწესრიგობებში ათობით კაცი დაზარალდა, ასზე მეტი დაპატიმრებულია

დაზარალებულთა რიცხვი ასევე 100 აჭარბებს. მათ შორის ბევრია პოლიციელი. უწესრიგობის მიზეზი გახდა კოსოვოს მცხოვრებთა უკმაყოფილება ხელისუფლების გაუბედაობის გამო სამთომომპოვებელ კომპლექსზე უფლებათა დავის საკითხში და სერბი მინისტრის შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამო.

ფინეთი მზად არის, შეიტანოს ახალი სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, „თუ ამის აუცილებლობა იქნება“

ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერკი ტუომიოიამ განაცხადა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ჰელსინკი მზად არ არის შეიტანოს ახალი სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, მაგრამ ქვეყანას არა აქვს, მიმდინარე მოვლენების ნათელი სურათი. პრესის მონაცემებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს შეუძლიათ, სთხოვონ ევროკომისიას ხუთშაბათისთვის მოამზადოს ახალი სანქციები რუსეთთან დაკავშირებით.

ნიუ-იორკის დანაკარგებმა თოვლის გრიგალთან დაკავშირებით 200 მილიონი დოლარი შეადგინა

ქალაქისთვის მიყენებული ეკონომიკური ზარალი, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია შეზღუდვებთან ტრანსპორტის მუშაობაში. მეტროს დახურვის გამო, ავტობუსების გაუქმებისა და ხელისუფლების თხოვნასთან დაკავშირებით არ გამოვიდნენ სახლიდან, თუ ამისი აუცილებლობა არ არის — მეგაპოლისის მცხოვრებლები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ მაღაზიებში წასვლაზე, აგრეთვე დასწრებოდნენ გასართობ ღონისძიებებს სათანადო ადგილებში.



საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

ქ. თბილისი 2015

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე 3
აუდიტორის პასუხისმგებლობა 3-4
საბიუჯეტო შემოსავლები 4-5
საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ 5-7
სალაროს და საბანკო ოპერაციების კანონიერება 7-8
დებიტორ-კრედიტორები 8
აუდიტორების ხელმოწერა 8

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა მომზადებულია საჯარო სექტორის აუდიტორის მურმან საბანაძის (სერტიფიკატის №0014) მიერ. ჩემს მიერ ჩატარებული იქნა საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე. აუდიტი ჩატარებულია საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ მოთხოვნათა შესრულების მიზნით.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩემს პასუხისმგებლობაში შედის გამოვთქვა მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტი ჩავატარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩემი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მიღებული იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას. აუდიტი აგრეთვე, გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი მოიცავს 2014 წლის პერიოდს. ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტი შეეხება აღნიშნულ პერიოდს.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე სრულყოფილი აზრის გამოსახატავად ჩემს მიერ განხილული და შემოწმებული იქნა შემდეგი საანგარიშგებო დოკუმენტები:

1. საბიუჯეტო შემოსავლები

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 2014 წლის პერიოდში ბიუჯეტიდან დაფინანსების საფუძველი იყო საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 ივლისის №274/2014 განკარგულება „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2014 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 30 დეკემბრის №504/2013 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული განკარგულების თანახმად საქართველოს ლეიბორისტული პარტიას „პოლიტიკური პარტიების დაფინანსება პროგრამული კოდი 06 04 01“ განესაზღვრა 373 295.0 ლარის ოდენობით. აქედან 2014 წლის ივლისის თვეში 28 097.0 ლარი, ხოლო 2014 წლის აგვისტო-დეკემბრის თვეებში განესაზღვრა 31 108.0 ლარი. გარდა ამისა, ამავე კოდზე ჩარიცხულია ერთჯერადად 43 803.0 ლარი. რაც შეეხება „პროგრამული კოდი 06 04 02 პარტიების და არასამთავროების სექტორის განვითარების“ განესაზღვრა 236 726.0 ლარის ოდენობით. ფაქტობრივად ჩარიცხული იქნა 116 433.0 ლარი.

შემდგომში ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების (საქმე №3/ბ-1023-14წ) საფუძველზე საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2014 წლი 24 ივლისის №279/2014 განკარგულება „ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის 2014 წლის სრული საბიუჯეტო დაფინანსების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას „პოლიტიკური პარტიების დაფინანსება პროგრამული კოდი 06 04 01“ განესაზღვრა 373 295.0 ლარის ოდენობით. აქედან 2014 წლის ივლისის თვეში დამატებით დაერიცხა და შეადგინა 34 118.0 ლარი, ხოლო 2014 წლის აგვისტო-დეკემბრის თვეებში განესაზღვრა 62 216.0 ლარი.

2. საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ზემოთ აღნიშნული „პოლიტიკური პარტიების დაფინანსება პროგრამული კოდი 06 04 01“ 2014 წლის პერიოდში ფაქტობრივი და საკასო ხარჯი მოცემულია ქვემოთ აღნიშნულ ცხრილში:

დასახელება	ფაქტობრივი გეგმა	საკასო ხარჯი
სულ ხარჯი	443173.0	440 440.0
ხელფასი	385402.0	382 669.0
საკანცელარიო საქონლის, საოფისე ტექნიკის და ინვეტარის შეძენის, დამონტაჟების და მოვლა-შენახვის ხარჯები	3 967.0	3 967.0
საოფისე აგვჯი	2 509.0	2 509.0
კავშირგაბმულობის ხარჯი	4 153.0	4 153.0
ელექტროენერგიის ხარჯი	6 578.0	6 578.0
წყლის ხარჯი	1 021.0	1 021.0
სხვა კომუნალური ხარჯი (დასუფთავება)	360.0	360.0
კვების ხარჯი	1 015.0	1 015.0
საწვავი საპოხი მასალების	7 100.0	7 100.0
მიმდინარე რემონტის ხარჯი (მათ შორის ოფისის ფანჯრების შეცვლა)	8 072.0	8 072.0
საფოსტო ხარჯი	315.0	315.0
საარჩევნო ფონდში გადატანილი	3 006.0	3 006.0
ბანკის მომსხურება	312.0	312.0
აუდიტორული მომსახურება	1 250.0	1 250.0
იჯარის ხარჯი	2 019.0	2 019.0
სხვა დანარჩენი მომსახურების	1 854.0	1 854.0
სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი (დახმარება)	500.0	500.0
სხვა ხარჯები (ადმინისტრაციული ხარჯები)	13 740.0	13 740.0

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ფაქტობრივი ხარჯი „პოლიტიკური პარტიების დაფინანსება პროგრამული კოდი 06 04 01“ მიხედვით შეადგენს 442 667.0 ლარს. მათ შორის სხვა ხარჯები 13 740.0 ლარი წარმოადგენს ძირითადად ადმინისტრაციული ჯარიმების გადახდებს (პლაკატების არასწორად განთავსების გამო).

რაც შეეხება საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ზემოთ აღნიშნული „პროგრამული კოდი 06 04 02 პარტიების და არასამთავროების სექტორის განვითარების“ დაფინანსებას 2014 წლის პერიოდში ფაქტობრივი და საკასო ხარჯი მოცემულია ქვემოთ აღნიშნულ ცხრილში:

დასახელება	ფაქტობრივი გეგმა	საკასო ხარჯი
სულ ხარჯი	87 543.0	87 543.0
ხელფასები	1 250.0	1 250.0
მივლინება ქვეყნის შიგნით	4 570.0	4 570.0
მივლინება ქვეყნის გარეთ	63 636.0	63 636.0
საკანცელარიო საქონლის, საოფისე ტექნიკის და ინვეტარის შეძენის, დამონტაჟების და მოვლა-შენახვის ხარჯები	360.0	360.0
საწვავი/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	15 250.0	15 250.0
ბანკის მომსახურების ხარჯი	134.0	134.0
სესიების, კონფერენციების ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ხარჯები	2 343.0	2 343.0

როგორც მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის „პროგრამული კოდი 06 04 02 პარტიების და არასამთავროების სექტორის განვითარების“ ფაქტობრივი ხარჯი შეადგენს 87 543.0 ლარს. მათ შორის ძირითადად წარმოადგენს სამივლინებო ხარჯებს როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით და მასთან დაკავშირებული საწვავის ხარჯები.

საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას გარდა ზემოთ აღნიშნული პროგრამული დაფინანსებებისა 2014 წლის პერიოდში ჰქონდა ფულადი საშუალებები პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად, რომელზეც წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური აუდიტორის „ინგა მაისურაძის“ მოდიფიცირებული აუდიტორული დასკვნა.

3. სალაროს და საბანკო ოპერაციების კანონიერება.

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 2014 წლის პერიოდში სალაროს ოპერაციები დაფიქსირებულია რამდენიმე შემთხვევაში. კერძოდ ბანკიდან გამოტანილია ივლისის თვეში 325.0 ლარი, ოქტომბრის თვეში – 400.0 ლარი. აღნიშნულ თანხებზე წარმოდგენილია ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

გარდა ამისა, სამივლინებო ფონდიდან საქართველოს ბანკის № GE88BE0000000331054600 ანგარიშიდან გამოტანილია 900.0 ლარი კონფერენციის მოწყობის ხარჯებისათვის.

საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს ს/ს „საქართველოს ბანკში“ „პოლიტიკური პარტიების დაფინანსება პროგრამული კოდი 06 04 01“-სთვის ანგარიშის № GE61BE0000000331054601, სადაც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი ერიცხებოდა 88 771.62 ლარი, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 65 430.24 ლარი. „პროგრამული კოდი 06 04 02 პარტიების და არასამთავროების სექტორის განვითარებისთვის“ ანგარიშის № GE88BE0000000331054600, სადაც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი არ ერიცხებოდა, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 28 890.82 ლარი და წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად ანგარიშის № GE34BE0000000331054602, სადაც 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი არ ერიცხებოდა, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასევე ნაშთი არ ერიცხებოდა. საბანკო ოპერაციების პირველადი დოკუმენტაცია წარმოდგენილია ელექტრონული სასაქონლო ზედდებულებით როგორც საქონლის შესყიდვებზე ასევე მომსახურეობაზე. საწვავი ეძლევათ თანამშრომლებს კერძო ავტომანქანებზე პარტიის თავმჯდომარის ბრძანების, ან საორგანიზაციო მდივნის ბრძანების თანახმად. ასევე არის წარმოდგენილი პარტიის თავმჯდომარის ბრძანებები მივლინებებზე.

4. დებიტორ-კრედიტორები.

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის 2014 წლის 1 იანვრის და 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორი დავალიანება არ ფიქსირდება, როგორც ორგანიზაციების, ასევე ანგარიშვალდებული პირების მიმართ. რაც შეეხება კრედიტორულ დავალიანებას წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის თანხით 2 740.0 ლარის ოდენობით.

ი/მ „მურმანი საბანაძე“ საჯარო სექტრის აუდიტორი
მურმან საბანაძე

◎ მოვლენის წინ

ღირსების საქმე

სპორტისა **და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის – თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილმა დამსწრეთ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი გააცნო და აქტუალურ საკითხებზე იმსჯელა. ჟურნალისტებისა და მოწვეული სტუმრებისათვის სამოქმედო გეგმა წარმოადგინა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ბოქოლიშვილმა.**

ფორუმის მნიშვნელობაზე მედიასთან ისაუბრეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი არეშიძემ.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მასშტაბის ღონისძიება ძალოსნობაში საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდება და 11-დან 18 აპრილამდე გასტანს. მასში მონაწილეობას 45 ქვეყნის 350 სპორტსმენი მიიღებს. ღონისძიებას პირდაპირ ეთერში გადასცემს ევროპის უდიდესი სპორტული ტელეარხი ევროსპორტი, რომელიც მსოფლიოს 54 სხვადასხვა ქვეყანაში მაუწყებლობს.

პრესკონფერენციაზე დაჯილდოვდა ძალოსნობის ფედერაციის უხუცესი წევრი შოთა ბუაძე, რომელსაც 90 წელი უსრულდება. იუბილეს აღსანიშნავად ქართული სპორტის ვეტერანს საჩუქრები ძალოსნობის ფედერაციის და ოლიმპიური კომიტეტისგან გადაეცა. დავძენთ, რომ შოთა ბუაძეს სამინისტრო სპორტის რაინდის წოდებას მიანიჭებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ✧ კალათბურთი

მემორიალის თასი შსს აკადემიასა და რუსთავს შორის ქუთაისში გათამაშდება

ლეგენდარული **ქართველი კალათბურთელების ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის თასს „რუსთავი“ და „შსს-აკადემია“ გაითამაშებენ. სატიტულო შეხვედრა დღეს ამ კალათბურთელების მშობლიურ ქალაქ ქუთაისში გაიმართება.**

ფინალში ადრე გასულ „რუსთავს“ გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდი შეუერთდა. ნახევარფინალის ტოლფას მატჩში ძალოვნებმა „დინამო“ 88:73 დაამარცხეს.

ხსენებულ ბრძოლამდე „ბათუმმა“ მოულოდნელად „მგზავრებიარმიასთან“ წააგო და ფინალში გასვლის შანსი დაკარგა. შესაბამისად, დღის ბოლო თამაშში ვინც მოიგებდა - „დინამო“ თუ „შსს-აკადემია“ – ფინალშიც ის გადიოდა.

მატჩის მეორე მეოთხედი გარდამტეხი აღმოჩნდა. აღნიშნული პერიოდი კოტე ტულუშის გაწვრთნილმა აკადემიელებმა 30:11 მოიგეს და უპირატესობა თამაშის ბოლომდე იოლად შეინარჩუნეს.

გამარჯვებულებს ნიკა მეტრეველმა ულიდერა, რომელმაც 20 ქულა მოაგროვა. ბექა ჩიკვილაძემ 19 ქულა მიითვალა, ხოლო გიორგი ცინცაძემ პირად ანგარიშზე 15 ქულა და 5 პასი ჩაიწერა. დინამოელთაგან ბესო ლეჟავა გამოირჩა 26 ქულით, ილია ლონდარიძემ კი 22 ქულას მოუყარა თავი.

მაშ ასე, ორივე ჯგუფში თამაშები დასრულებულია და ქუთაისში პირველ ადგილზე გასული გუნდები – „შსს-აკადემია“ და „რუსთავი“ მიდიან. მემორიალური ტურნირის რიგით მე-10 გათამაშების ფინალური მატჩი ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის ქუთაისის სპორტის სასახლეში დღეს 18 საათზე გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

მილიონერი კარტერი და დანარჩენები

რაგბის **პოპულარიზაციის ზრდასთან ერთად წამყვანი მოთამაშეების ხელფასებიც გაიზარდა, მაგრამ მათი შემოსავალი სპორტის სხვა სახეობების თუნდაც საშუალო დონის შემსრულებლებთან ახლოსაც ვერ მივა.**

ყველაზე მაღალანაზღაურებადი მორაგბეების ათეულს თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ მათი წლიური ფინანსური მონაგარი ხშირ შემთხვევაში ფეხბურთელთა ყოველთვიურ შემოსავალსაც არ უტოლდება.

ყველაზე დიდი შემოსავალი ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრების მგეზავს, ტესტმატჩებში პლანეტის საუკეთესო მექულე დენ კარტერს ექნება, რომელიც მომავალი სეზონიდან, უფრო ზუსტად კი 2015 წლის მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ საფრანგეთში, პარიზულ „რასინგ მეტროში“ გადავა. ახალ გუნდში ის სეზონის განმავლობაში 1 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ ამ შესანიშნავი ათეულიდან 9 საფრანგეთში თამაშობს, 7 მათგანი კი ორი გუნდის – „ტულონისა“ და „რასინგ მეტროს“ ღირსებას იცავს (ან დაიცავს). ამ შვიდეულიდან 4 მამუკა გორგოძის, კოტე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას თანაგუნდელია („ტულონი“):

დენ კარტერი, ახალი ზელანდია/რასინგ მეტრო (საფრანგეთი) – 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

მეტ გიტო, ავსტრალია/ტულონი (საფრანგეთი) – 700 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ლი ჰალფპენი, უელსი/ტულონი (საფრანგეთი) – 600 ათასი გირვანქა სტერლინგი.

სემ ბერჯესი, ინგლისი/ბათი (ინგლისი) – 500 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ჯონათან სექსტონი, ირლანდია/რასინგ მეტრო (საფრანგეთი, სეზონის დასრულების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება) – 494 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ბრაიან ჰაბანა, სამხრეთ აფრიკა/ტულონი (საფრანგეთი) – 474 ათასი გირვანქა სტერლინგი.

მორგან პარა, საფრანგეთი/კლერმონი (საფრანგეთი) – 436 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ტიერი დუსოტუარი, საფრანგეთი/ტულუზა (საფრანგეთი) – 408,1 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ჯემი რობერტსი, უელსი/რასინგ მეტრო (საფრანგეთი, სავარაუდოდ, სეზონის დასრულების შემდეგ სამშობლოში, კარდიფ ბლუზში დაბრუნდება) – 390 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ბაკოს ბოთა, სამხრეთ აფრიკა/ტულონი (საფრანგეთი) – 389 ათასი გირვანქა სტერლინგი.

გიორგი ზოთაძე

◎ პრევენცია

დავიცვათ სპორტსმენები დოპინგისგან

დოპინგი **მსოფლიო სპორტის გლობალური პრობლემაა. აკრძალულ პრეპარატებს სპორტსმენები ჩუმად თუ შეუგნებლად ყოველთვის იღებდნენ, მაგრამ ადრე თუ ეს ერთეული შემთხვევები იყო, ბოლო დროს სტატისტიკურმა მონაცემებმა აშკარად მოიმატა.**

დოპინგი აქილევსის ქუსლად იქცა ქართული სპორტისთვისაც. ჩამოთვლას არ შევუდგებით, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე სპორტსმენის სისხლში დოპინგის კვალი აღმოჩნდა და დღესაც დისკვალიფიკაციას იხდიან. ჩვენდა საბედნიეროდ, ისინი ძალიან მკაცრადაც არ დაუსჯიათ და 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა შეეძლებათ, მაგრამ ეს დამშვიდების საფუძველს ნამდვილად არ გვაძლევს და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს.

ამიტომაც სეოკ-მა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ და სპორტული მედიცინის ასოციაციამ პრევენციული ზომების მიღება გადაწყვიტეს, მით უფრო, რომ რიოს ოლიმპიადამდე არც ისე დიდი დრო დარჩა და თანაც წლეულს ძირითადი სალიცენზიო მარათონიც იწყება. ყოფილა შემთხვევები, სპორტსმენებს თვითნებურად, ინტერნეტით გამოუწერიათ სხვადასხვა აკრძალული პრეპარატები ისე, რომ ამის შესახებ არაფერი ცოდნიათ. ამიტომაც თავის მეტად დაზღვევის მიზნით სახელმწიფომ შეიძინა White night import-ის პრეპარატები, რაც ჩეხეთისა და სლოვაკეთის ოლიმპიური კომიტეტების მხარდაჭერითა და შუამდგომლობით გახდა შესაძლებელი.

საქართველოს ოლიმპიური ნაკრების მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა სეოკ-ის ოფისში ძალოსნობის, ძიუდოს, ჭიდაობის, ველოსპორტის, საწყლოსნო სახეობების ნაკრებთა წევრებსა და კანდიდატებს, ასევე ზამთრის სახეობების წარმომადგენლებს, პარალიმპიურ ფედერაციას და თბილისი 2015-ის ფესტივალის მონაწილე სპორტსმენებს გადასცა რამდენიმე თვის მარაგი ბიოლოგიურად აქტიური კვების დანამატები, პროტეინები, ამინომჟავები, ვიტამინები, ენერგოტონიკები, კრეატინები და სხვა აუცილებელი პრეპარატები, რომლებიც გაკონტროლებულია საერთაშორისო ანტიდოპინგური საგენტოს სიის მიხედვით.

ბეჟან დოლიძე

◎ ჩოგბურთი

უილიამსების არშემდგარი ნახევარფინალი

ავსტრალიის **ღია პირველობის ქალთა ტურნირის ნახევარფინალში დები უილიამსების დუელი არ შედგება. რეიტინგსიის ლიდერმა სერენამ 25 წლის სლოვაკი დომინიკა ციბულკოვა 6:2, 6:2 დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, მისმა უფროსმა დედმამიშვილმა ვენუსმა კი 19 წლის თანამემამულე მედისონ კიზთან 6:3, 4:6, 6:4 წააგო. ნახევარფინალში 33 წლის სერენა დის მძლეველ კიზს შეხვდება.**

33 წლის სერენამ კლასიფიკაციაში მეათე ადგილზე მყოფი დასავლეთსლავის დამარცხებას საათი მოანდომა და ციბულკოვასთან პირადი მატჩების ანგარიში კვლავინდებურად „მშრალი“ აქვს – 5:0. ამჯერად სერენამ 4 ბრეიკი და 15 ეისი შეასრულა.

34 წლის ვენუსს რაც შეეხება, მან 15 წლით უმცროს კიზთან სამსეტიანი მატჩი წააგო. მედისონმა კარიერაში პირველად შეძლო უილიამს-უფროსის დამარცხება და ურთიერთშეხვედრათა ბალანსი გაათანაბრა – 1:1.

სერენა უილიამსმა მომავალ ნახევარფინალთან დაკავშირებით ჟურნალისტებს განუცხადა, მედისონის წარმატება მახარებს, კარგია ფინალში აფრომამერიკელი რომ ითამაშებს და ამ ფაქტის გამო ვენუსს მეოთხედფინალში წაგებით გული ნაკლებად წყდებაო.

კოგა კოგახიძე

◎ ინვესტიციები

ტურისტებს იაღლუჯაზე უმასპინძლებენ

იმის მიუხედავად, რომ თბილისის ურბანული განვითარების გენერალური გეგმა, რომლის შექმნის აუცილებლობაზე მრავალი წლის მანძილზე მშენებლობის ყველა დარგის სპეციალისტი, პოლიტიკოსი თუ რიგითი მოქალაქე უშედეგოდ ლაპარაკობს, დღემდე არ არსებობს, ცხოვრების დინება ამის გამო არ ჩერდება, ქალაქი სახეს ნელ-ნელა მაინც იცვლის. თავდაპირველად ცვლილებები თვალის ერთი გადავლებით შეუმჩნეველია, თუმცა კი, გარკვეული დროის შემდეგ ვხედავთ, რომ ქალაქის იერში რაღაც ახალი შტრიხი გაჩნდა.

დედაქალაქის ცენტრში ამ ბოლო დროს საკმაოდ ბევრი ცვლილება მოხდა, თუმცა კი, ამ მხრივ სიახლეები უფრო თვალში საცემია გარეუბნებში, უშუალოდ ქალაქის მიმდებარე ტერიტორიებზე. როგორც ჩანს, ახლო მომავალში დიდად შეიცვლება თბილისი-რუსთავის გზის გასწვრივ ჩვეული პეიზაჟიც: თებერვლიდან იაღლუჯზე დიდი სამშენებლო პროექტის განხორციელება დაიწყება – კორეელ და ესპანელ პარტნიორებთან ერთად ქართველი ბიზნესმენი თეიმურაზ თაბაგარი ახალი ტურისტული კომპლექსის მშენებლობას იწყებს, რაც 30 მილიონი დოლარი დაჯდება და 70 ათას კვადრატულ მეტრზე განთავსდება. იგი 200-ნომრიანი სასტუმროსგან, რვა კოტეჯისგან, სამედიცინო ცენტრისა და აკვაპარკისგან შედგება, ასევე აშენდება ეკლესია. აღნიშნული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი კონსორციუმმა სახელმწიფოსგან 525 ათას დოლარად შეიძინა. შეთანხმების პირობების თანახმად, 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია ტურისტული კომპლექსის მშენებლობაზე, რომელზეც 130 სამუშაო ადგილი შეიქმნება, ორ წელიწადში განხორციელდება. იაღლუჯის მთაზე ახალი ტურისტული კომპლექსის ასაშენებლად საგანგებოდ დეველოპერული კომპანია „გრანდ მასტერი“ შეიქმნა.

აღსანიშნავია, რომ იაღლუჯის მთაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ნაგვის დიდი გადამმუშავებელი კომპლექსიც აშენდება, რაზეც ევროპიდან 120 მილიონი დოლარის ინვესტიცია მოიზიდება.

როგორც ჩანს, ბატონ თემურ თაბაგარის სამეწარმეო ინტერესი ახალი გასართობი ობიექტების შექმნაზეა მიმართული. კერძოდ, იაღლუჯის მთაზე ახალი ტურისტული ცენტრის გარდა, მისი კომპანია, ესპანელ და კორეელ პარტნიორებთან ერთად, მთაწმინდის პარკის მიმდებარედ რვა ჰექტარ ფართობზე კიდევ ერთი გასართობი ცენტრისა და აკვაპარკის მშენებლობას გეგმავს, რომლის ღირებულება ასევე 30 მილიონი დოლარი იქნება. საგულისხმოა, რომ ორივე ობიექტის მშენებლობა თითქმის ერთდროულად დაიწყება.

არსებული ინფორმაციით, ბატონ თაბაგარის კომპანია ახალ გასართობ ცენტრს ქალაქ რუსთავშიც ააშენებს კინოთეატრ „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე.

ახალი ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში, თავისთავად, დიდებული საქმეა – ამით სახელმწიფო ხაზინაც ივსება, ახალი სამუშაო ადგილებიც იქნება. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალი სასტუმროებისა და გასართობი ცენტრების შექმნა ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას ემთხვევა, რომელიც, როგორც ჩანს, თანდათანობით ჩვენი ეკონომიკის ლოკომოტივად ყალიბდება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ეპიტაფია

ღვაწლმოსილი მამულიშვილი

ჯიბო ლომაშვილის ხსოვნას



90 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **ჯიბო ნიკოლოზის ძე ლომაშვილი**.

თიანეთის საშუალო სკოლისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს ვაჭრობის მინისტრის მოადგილედ, ბორჯომის რაიკომის პირველ მდივნად, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკად და სხვა თანამდებობებზე, იყო მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის აქტიური წევრი, ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარე, ყოველმხრივ გულშემატკივრობდა მწიგნობართა ასოციაციას.

სამეცნიერო კვლევისათვის მუშაობა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო. დისერტაციის დაცვის შემდეგ ჯიბო ლომაშვილმა სერიოზული წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალური პრობლემების მეცნიერულ დამუშავებაში. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა რუსთველოლოგიისა და ვაჟალოგიის დარგებში. მარტო ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მოღვაწეობის პრობლემებს მან 15 წიგნი და ბროშურა მიუძღვნა. ხშირად აქვეყნებდა სტატიებსა და წერილებს სამეცნიერო კრებულებსა და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. ქართული ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს მან 30 სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა.

მისი რედაქტორობით მრავალი ფუნდამენტური მონოგრაფია და კრებული გამოიცა.

ჯიბო ლომაშვილის ნათელი სახე დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, ნათესავებისა და ნაცნობების ხსოვნაში. მომავალი თაობები მას მადლიერებით მოიგონებენ.

მეგობრების ჯგუფი

შვილები ნანა, ზურაბი, ძმები ფარნაოზი, ანზორი, სრულიად ლომაშვილების საგვარეულო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯიბო ნიკოლოზის ძე ლომაშვილი

პანაშვიდი 29, 30 I, 16 სთ. გამოსვენება 31 I, 14 სთ. მის. დ. უზნაძის (კამოს) 4. სად V, სართ. IV.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ნინო ხვიჩიას მამამთილის

ლერი ხუჭუას

გარდაცვალების გამო.

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ კობა ხუჭუას და ქალბატონ ნინო ხვიჩიას მამისა და მამამთილის

ლერი ხუჭუას

გარდაცვალების გამო.

◎ ციხე

სამინისტრო მოშიმშილე პატიმრების მოთხოვნების გათვალისწინებას შეეცდება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილის კახა კახიშვილის განცხადებით, უწყება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მოშიმშილე პატიმართა მოთხოვნების გათვალისწინებას შეეცდება. მისივე ცნობით, ხორციელდება მონიტორინგი მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

„მოშიმშილე პატიმართა ერთი მოთხოვნა იმას უკავშირდება, რომ მათ ამნისტიის ფარგლებში არანაირი შეღავათი არ შეეხოთ. მეორე მოთხოვნა კი იმას უკავშირდება, რომ არ შეიქმნა არანაირი მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი იქნება ძალაში შესული გადაწყვეტილებების გადახედვა. გარდა ამისა, რამდენადაც მე ვიცი, მოშიმშილეთა შორის შვიდს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება ეხებოდა, რაზეც მათ ადგილობრივმა საბჭოებმა უარი განუცხადეს და ამას აპროტესტებენ. ჩვენ ვახორციელებთ მონიტორინგს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ვცდილობთ, მათი მოთხოვნები ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მეტ-ნაკლებად გავითვალისწინოთ, რათა შიმშილობა შეწყდეს. ამასთან, მინდა გითხრათ, რომ კანონში დაგეგმილი ცვლილებების ფარგლებში ე.წ.უდოსთან დაკავშირებული მექანიზმები ისე აეწყობა, რომ პატიმრებს პრობლემები აღარ შეექმნებათ“, – განუცხადა ჟურნალისტებს კახიშვილმა.

არსებული ინფორმაციით, სასჯელაღსრულების მეშვიდე დაწესებულებაში რამდენიმე პატიმარი შიმშილობს.

განცხადება

შპს „ენგურჰესი“ აცხადებს პირობათა გამოკითხვას 500 კვ-ის ელგაზური ამომრთველების მოწოდებაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

დეტალური ინფორმაცია შესასყიდ საქონელზე მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

პირობათა გამოკითხვის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მსურველებს დოკუმენტაციის მიღება ქართულ და ინგლისურ ენებზე შეეძლებათ მოთხოვნისთანავე 2015 წლის 30 იანვრის 14 სთ-დან 10 თებერვლის 18 სთ-მდე, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 8, ენგურჰესის ოფისი.

პრეტენდენტებმა პირობათა გამოკითხვის შესახებ წინადადება დახურულ კონვერტებში ერთი ორიგინალი და ერთი ასლი ქართულ ენაზე ან ინგლისურ ენაზე ქართულ თარგმანთან ერთად, უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 18 თებერვლის 10 სთ-დან 18 სთ-მდე, მისამართზე ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 8, ენგურჰესის ოფისი.

წინადადებები გაიხსნება 2015 წლის 19 თებერვალს 12 სთ-ზე.

დამატებითი ინფორმაციის მიღება პროცედურებთან დაკავშირებით შეგიძლიათ, მიიღოთ შემდეგ ნომერზე:

საბინა ჭანტურია 595 33 60 81

ვახტანგ მოლაშხია 595 30 99 12

პირობათა გამოკითხვის კომისია

◎ ალიან-ჩალიანი

ვარკეთილში გარდაცვლილი ახალშობილი იპოვეს

შემთხვევა ვარკეთილის პირველ მიკრორაიონში, ერთ-ერთი სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ახალშობილი ერთ-ერთმა მოქალაქემ აღმოაჩინა, რომელმაც ამ ფაქტის შესახებ 112-ს აცნობა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, შემთხვევა სამშაბათს მოხდა. შემთხვევის ადგილზე მისულ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ახალშობილი გარდაცვლილი დახვდათ.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

ამოღებულია დიდი ოდენობით მეტადონი

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული ომარ ჯ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ბრალდებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

მათივე ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რაც ექსპერტიზის დასკვნით 0,8768 გრამი მეტადონია.

უწყების ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ომარ ჯ-მ ნარკოტიკული საშუალება საქართველოში უკრაინიდან შემოიტანა.

სუიციდი რუსთავში

რუსთავში, ლერმონტოვის ქუჩა 38 საცხოვრებელ კორპუსთან 25 წლის ახალგაზრდა მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, 25 წლის მამაკაცმა გადაჭრილი თოფით, ე.წ. აბრეზით, ყოფილი მეუღლისა და სიდედრის თვალწინ საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს შესასვლელთან თავი მოიკლა. ის მეუღლესთან გაშორებული იყო და სახლში მიაკითხა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა.

◎ ჩვენი კარაბადინი

კლიმაქსის ზღვარზე

6 შეცდომა, რომლებსაც ვუშვებთ ჰორმონალური გარდაქმნის დროს

ბევრ ქალს ეშინია კლიმაქსის დადგომისა არა მხოლოდ როგორც ქალური ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებისა, არამედ რისკის გამოც, რომ შეუმჩნევლად მოიმატებენ რამდენიმე კილოგრამს წონაში. მაგრამ უნდა შეგვეძლოს, ავირჩიოთ ტანკენარობასა და ჯანმრთელობას შორის და არ ვეცადოთ, მოვატყუოთ ჩვენი ორგანიზმი.

1 შეცდომა
მივიღოთ დანამატები, რომლებიც მადას ამცირებენ

იქონიეთ მხედველობაში, რომ მადის ყველა მომთვინიერებელი ამცირებს მას მხოლოდ აბების მიღების დროს. ქატო და ცელულოზა არა მხოლოდ ხელოვნურად ავსებენ მოცულობას, არამედ ორგანიზმიდან გამოაქვთ სასარგებლო ნივთიერებანი და მინერალები. ტაისური აბები და „სწრაფი გახდომის“ სხვა პრეპარატები დაბლა სწევენ ჰორმონალურ ფონს და აზიანებენ ღვიძლს.

მე-2 შეცდომა
მკაცრად ვებრძოლოთ ქოლესტერინს

დიეტას ცხოველური ცხიმების გარეშე, რომლებიც ქოლესტერინს შეიცავენ, შეუძლია, დააჩქაროს კლიმაქსის დადგომა. ამისკენ ისწრაფვოდით? სწორედ ხომ ქოლესტერინი არის ამოსავალი ნედლეული სასქესო ჰორმონების წარმოებისთვის. ქალები, რომლებიც გაუცხიმოვნებულ დიეტაზე სხედან, კანონზომიერად კარგავენ ინტერესს სექსისადმი.

მე-3 შეცდომა
გამოვრიცხოთ ნახშირწყლები

ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლები, რასაც ჩვენ ბოსტნეულისა და ხილისგან ვიღებთ, გვეხმარება, გავიწმინდოთ ორგანიზმი, ბურღულისა და მარცვლეულის პურის ნახირწყლები კვებავენ ორგანიზმს B ჯგუფის ვიტამინებითა და უჯრედისით, ბევრი სასარგებლო მიკროელემენტით. ატკინსის ცილოვანი დიეტა, რომელიც შეიცავს ყველა სხვადასხვაგვარ ნახშირწყლებს, ვარგა მხოლოდ ახალგაზრდებისთვის. 40 წლის შემდეგ თირკმლები და გული უკვე ისეთი აღარაა, ასე რომ, მარტო ცილების გადამუშავება – მცირე დატვირთვა როდია. ხოლო თუ ცილოვან დიეტას შევუთავსებთ უმარილოს, ორგანიზმი გაუწყლოვდება.

მე-4 შეცდომა
ვიკვებოთ მხოლოდ მცენარეული საკვებით

ხშირად მცენარეულ დიეტას, თანაც უთევზოდ და ზღვის პროდუქტების მიუღებლად, ქრონიკულ გადაღლილობასთან, ლიბიდოს დაქვეითებასთან და გაღიზიანებულობასთან მივყავართ. თანაც მცენარეული საკვები შეიძლება საკმაოდ კალორიული იყოს, ამიტომ გაცილებით მეტ ეფექტს კვირაში ერთი განტვირთვის დღე იძლევა. იმას, როგორც წესი, ადვილად გადაიტანენ ხოლმე.

მე-5 შეცდომა
სულ არაფერი ვჭამოთ

თუ გადაწყვიტეთ, შიმშილობა გამოაცხადოთ, გარანტირებულად გაიზრდით კილოგრამებს, თანაც გაცილებით მეტი ოდენობით, ვიდრე უიმისოდ. კლიმაქსის დადგომის წინ ორგანიზმი შიმშილს აღიქვამს, როგორც საფრთხის სიგნალს და იწყებს ყოველი საჭმლის მარაგში გადატანას. მისთვის მნიშვნელოვანია წლობით ადრე უზრუნველყოს ესტროგენების დეპო, რომლებიც მხარს დაუჭერენ ორგანიზმს, როდესაც საკვერცხეები შეამცირებენ ჰორმონების გამომუშავებას, ამისთვის კი საჭიროა კანქვეშა ცხიმი. ამიტომ 40-45 წლის შემდეგ შიმშილობა რეკომენდებული არ არის.

მე-6 შეცდომა
არ მივაქციოთ ყურადღება საკუთარ წონას

თუ დღევანდელი დღით ცხოვრობთ, არ ზრუნავთ იმისთვის, თუ რა იქნება ერთი-ორი წლის შემდეგ, ეს სწორი არ იქნება. 40 წლის შემდეგ უნდა ვიყოთ ფრთხილად, განსაკუთრებით როდესაც უცნაური სურვილები გვიჩნდება, გემოვნებითი მიდრეკილებანი, ცხოვრების აღქმა, სექსუალურობაა... და განსაკუთრებული მიზეზების გარეშე იზრდება წონა.ეს ყოველივე კლიმაქსის მომასწავებელია.

ექვსი სწორი გადაწყვეტილება

1. იქონიეთ სასწორი და აკონტროლეთ თავი. ძალიან ბევრს ნუ შეჭამთ, განსაკუთრებით თუ წონაში მომატება დაიწყეთ. შეამცირეთ რაციონის კალორიულობა ზედმეტი კილოგრამების გამოჩენისთანავე.

2. ნორმალური გუნება-განწყობილებისთვის თქვენ დღეში 1200-1500 კილოკალორია გჭირდებათ. გახსოვდეთ: ამ წლებში მთავარი ამოცანაა – არ დაუშვათ წონის უსაშველო მომატება. თუ უფრო ცოტა ჭამაც კი დაიწყეთ, წონაში კი მეტს იმატებთ, ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მიმდინარეობს წონის კლიმაქტური მომატება. როდესაც ჰორმონალური გარდაქმნები უკან დარჩება, გახდომა გაცილებით იოლი იქნება.

3. შეეცადეთ, გადაიყვაროთ ტორტი და ტკბილღვეზელა, მათში ხომ შაქრისა და ცხიმის მავნე შეხამებაა. იგივე შეეხება შებოლილ ხორცეულსა და შემწვარ ღორის ხორცსაც. აქცენტი თევზზე გააკეთეთ: ხორცისგან განსხვავებით მასში არ არის დიდი ოდენობით ჰორმონები, ოკეანის თევზი კი შეიცავს იოდს, რომელიც ნივთიერებათა ცვლას არეგულირებს, სწრაფად გვანაყრებს და შეიცავს გულისთვის უკიდურესად სასარგებლო ცხიმოვან მჟავას – ომეგა-3.

4. ნუ გეშინიათ მაკარონის, პურისა და ფაფებისა. მათი სახიფათოობა ფიგურისთვის ძლიერ გადაჭარბებულია. რა თქმა უნდა, ამ დროს უმჯობესია, ავირჩიოთ სპაგეტი ხორბლის მაგარი ხარისხებიდან. ეს პროდუქტები კარგად გვანაყრებენ. დილის ფაფა გვეხმარება, შევკვეცოთ დრო სადილამდე ფუნთუშის უჭმელად.

5. არსებობს აზრი, რომ წვნიანები ზრდიან წონას უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა კერძები. ეს ასე არ არის. წვნიანი სასარგებლოა იმათთვისაც, ვინც ხდება. ოღონდ იმ პირობით, რომ მასში არ უმატებენ არაჟანს და ფქვილის შემწვარ პროდუქტს. განსაკუთრებით კარგია თბილი და არა ცხელი წვნიანი, რომელიც შეიცავს ბევრ ბოსტნეულს, მათ შორის კარტოფილსაც. ოღონდ ნუ გადაამლაშებთ წვნიანებს. ხომ ცნობილია, რომ მარილი წინააღმდეგობას უწევს წონის დაკლებას, აყოვნებს წყალს ორგანიზმში. ამიტომ უმჯობესია, წვნიანები შევკმაზოთ ბალახის სანელებლებით – ის შეაცდენენ გემოვნებითს რეცეპტორებს.

6. თუ გადაწყვიტეთ, რომ ბოლოს და ბოლოს ჩაერთოთ სპორტში, უწინარეს ყოვლისა, დარწმუნდით, შეგიძლიათ თუ არა ივარჯიშოთ მუდმივად. ვარჯიშების მიტოვება – ნიშნავს, რომ მიიწვიოთ ზედმეტი კილოგრამები გვერდიდან. აუცილებლად ამუშავდება გაუქმების ეფექტი. თუ დარწმუნებული არა ხართ, უმჯობესია, აირჩიოთ მცირე, მაგრამ რეგულარული დატვირთვა: ფეხით გასეირნება საღამოს, თხილამურები და ველოსიპედი უქმე დღეებში, კვირაში ორჯერ – აუზში.

◎ ალიან-ჩალიანი

დაიწყო ტატუს სალონების შემოწმება

C ჰეპატიტის პრევენციის მიზნით, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ 300-მდე სტომატოლოგიური კლინიკა შეამოწმა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელიამ C ჰეპატიტის პრევენციულ ზომებთან დაკავშირებით შუალედური შედეგები წარმოადგინა.

როგორც კვარაცხელიამ განაცხადა, თბილისში შემოწმდა 300-მდე კლინიკა, მათგან 29 კლინიკა ყოველგვარი შეტყობინების გარეშე მუშაობს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამშრომლები მივიდნენ სტომატოლოგიურ კლინიკებში და მათ კითხვარები დაუტოვეს, რომელიც ეხება არა სალიცენზიო პირობებს, არამედ ინფექციურ კონტროლთან დაკავშირებული საკითხების გამორკვევას.

მინისტრის მოადგილემ საუბრისას აღნიშნა, რომ სტომატოლოგიურ კლინიკებსა და კაბინეტებს მიეცათ ორთვიანი ვადა, რათა შენიშვნები გამოასწორონ. შემდგომ კი შესაძლოა, მათ მიმართ გარკვეული რეგულაციები ამოქმედდეს.

ვალერი კვარაცხელიამ პრეს-კონფერენციაზე ასევე ისაუბრა ტატუს გაკეთებისა და სილამაზის სალონების შესახებაც და აღნიშნა, რომ იგივე პროცესი შეეხება აღნიშნულ ობიექტებსაც.

როგორც მინისტრის მოადგილემ, აღნიშნა, ყველაფერს გაკეთებენ, რომ მოხდეს ტატუსა და სილამაზის სალონების ზუსტი აღრიცხვა და მათი კონტროლი.

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

◎ კადრი

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— გეცნობათ ეს დანა? — ეკითხება გამომძიებელი ბრალდებულს.

— რა თქმა უნდა!

— აჰა, ესე იგი, გეცნობათ, არა?

— როგორ არ უნდა ვიცნო... უკვე მეორე თვეა მაჩვენებთ და...

* * *

— დედი, რომ იცოდე, როგორ ცუდ სიტყვებს წერენ სკოლაში დაფაზე...

— იმედია, შენ არ წერ, შვილო...

— არა!!! მე ვკარნახობ!

* * *

თუ თქვენ არ გახსოვთ, როდის იყავით ბოლოს ქალთან, ეს სკლეროზის ბრალია არაა.

* * *

მადა ჭამაში მოდის, სექსისკენ სწრაფვა — სმაში.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24